ფილიპ კ. შმიტერი

დემოკრატიის დილემები და საფრთხეები

თბილისი
2017

შინაარსი

ფილიპ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (I).....3
ფილიპ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (II) 12
ფილიფ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (III).....18
ფილიპ კ. შმიტერი. ოცდახუთწლიანი კვლევა, თხუთმეტი შედეგი (I).....27
ფილიპ კ. შმიტერი. ოცდახუთწლიანი კვლევა, თხუთმეტი შედეგი (II) 37
გილერმო ო'დონელი. შმიტერის რეტროსპექტივა: რამდენიმე განსხვავებული შენიშვნა 46

ფილიპ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (I)

ბყ ჟურნალი "სოლიდარობა" ონ ონდყ, ჟანუარუ 3, 2011 ატ4:43ამ
დემოკრატიის დილემები და საფრთხეები

ფილიპ კ. შმიტერი
ეს სტატია შემოკლებული ვერსიაა ვრცელი ნაშრომისა,
რომელიც შესრულდა იუნესკოს შეკვეთით.
1993 წ. ,,სოლიდარობა,, 2008 წ.

70-იანების შუა ხანებში ავტოკრატიიდან დემოკრატიაზე მრავალ-გან დაწყებულმა გადასვლამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, რა-მაც ზოგიერთი სერიოზული საფრთხე და დილემა დაჩრდილა. ეს გამოწ-ვევები კი "ისტორიის ლიბერალური დასასრულის" მაგივრად წინააღმ-დეგობრივი მოვლენებით აღსავსე, მშფოთვარე და განუჭვრეტელ მომა-ვალს უწინასწარმეტყველებდნენ მსოფლიოს. 90-იან წლებში, და მოგვიან-ებითაც, დემოკრატია სრულებითაც არ იყო დარწმუნებული საკუთარი თეორიისა და პრაქტიკის უცდომელობაში; ჩანდა, რომ ის უპრეცედენტო სირთულეებს გადაეყრებოდა.

თანამედროვე გარემოში მსოფლიოს მტკიცე ლიბერალური დემოკ-რატიების შესაძლო "სისტემური უალტერნატივობა" აუცილებლად ახალ წინაღობებს წარმოშობს. მისი დამცველები დიდხანს ამტკიცებდნენ (მა-თი თანამოქალაქეები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ ამას), რომ ნებისმი-ერი ნაკლისდა მიუხედავად, მმართველობის ამგვარი ფორმა ნებისმიერ შემთხვევაში ნებისმიერ ავტოკრატიაზე უმჯობესია. სადღეისოდ მასთან (მმართველობის დემოკრატიულ ფორმასთან) შესადარებელი მოდელები თითქმის მთლიანად გაუჩინარდა ან მათ სამხედროებისა და სახელმწი-ფო პროპაგანდის მხარდაჭერა დაკარგეს. ნორმატიული დემოკრატიული თეორიის სიღრმესა და მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანის იმედს კი შემორჩა მხოლოდ შეფასებითი სტერეოტიპები. ვიკითხოთ, გამოგვივა რამე, თუკი ელიტების ღრმად ფესვგადგმულ პრაქტიკას ისეთი ტრადი-ციულად მეორეხარისხოვანი იდეალებით გავზომავთ, როგორიცაა თა-ნასწორობა, თანამონაწილეობა, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლო-ბა და თვითრეალიზაცია?

ახალბედა დემოკრატიების სწრაფვა - გადმოიღონ ხნიერი ლიბერალური დემოკრატიების ნორმებისა და ინსტიტუტების ასლები - სრულებითაც არ იძლევა წარმატების გარანტიას. ნაკლებად მოგვეპოვება დემოკრატიის გარდუვალობის, შეუქცევადობის, ისტორიული აუცილებლობის, მასში კაპიტალიზმის უცილობელი ფუნქციონალური მოთხოვნილებისა და სოციალურ ევოლუციაში ერთგვარად გარდაუვალი ეთიკური იმპერატივის შესაბამისობის მტკიცებულებები. თქმა არ უნდა, რომ დემოკრატიის გაძლიერება დაძაბულ ძალისხმევას მოითხოვს, რაც საეჭვოა განხორციელდეს ზოგიერთ ქვეყანაში.

ჩემი ყურადღება ძირითადად ავტოკრატიის დამხობის, დაშლის ან თვითგარდაქმნის შემდეგ რთული და გაურკვევლობით მოცული გარდამავალი პერიოდის საფრთხეებისა და დილემებისკენ იქნება მიმართული. მყარი ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციის ქვეყნებში მოქალაქეები უკვე დიდი ხანია მიეჩვივნენ მართვაში გარკვეულ მონაწილეობასა და მათ მიმართ აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, მაგრამ ახლა ზოგჯერ დაუფარავი ეჭვით უცქერენ მას. ეს გავლენას ახდენს ახალი დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ ამგვარი პრაქტიკის დასაუფლებლად. მეორე მხრივ, კონსოლიდაციის უუნარობა, რასაც ახალი რეჟიმები იჩენენ, აუცილებლად შეარყევს ლიბერალური დემოკრატიების პოზიციებს დასავლეთში და იმ ჯგუფების გავლენას გაზრდის, უფრო არსებით ორგანიზაციულ და პოლიტიკურ რეფორმებს რომ მოითხოვენ.

საფრთხეების კვლევა

ამა თუ იმ სახით, დემოკრატია თანამედროვე მსოფლიოში, ეტყობა, რომ მართლაც ერთადერთი ლეგიტიმური და სტაბილური მმართველობის ფორმაა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ იმ უფრო მყარ ავტოკრატიებს, სადაც მონარქები, დიქტატორები, ტექნოკრატები, ფუნდამენტალისტები ან "ნატივისტები" დღემდე ახერხებენ იმ აზრის შთანერგვას, რომ კონკურენტული არჩევნები, შეკრების თავისუფლება, სამოქალაქო თავისუფლებები და აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მხოლოდ და მხოლოდ დასავლური იმპერიალიზმის ინსტრუმენტებია და კულტურულად უცხო ფენომენებს წარმოადგენენ. თუმცა გაოცებას იწვევს იმ პარტიებისა და მოძრაობების სიმცირე, რომლებიც არადემოკრატიული მმართველობის ფორმას აშკარად ემხრობიან. თვით ზემოთ ხსენებული **რეჟიმ** ეს **დ.ეხცეპტორ**-ები ხანდახან მართავენ (თაღლითურ) არჩევნებს, ეგუებიან (შეზღუდულ) კრიტიკას და, ჩვეულებრივ, აცხადებენ კიდეც, რომ მათი (ავტორიტარული) ზრუნვა საბოლო-

ოდ “დემოკრატიის” გარკვეულ, კულტურულად მისაღებ, ფორმამდე მისვლას შეუწყობს ხელს.

მაგრამ თუკი დემოკრატია სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობისთვის “მმართველობის ერთადერთ შესაძლო” ფორმად გადაიქცა, მაშინ რატომღა მივიჩნევთ, რომ საჭიროა მისი საფრთხეების კვლევა? ნუთუ მისაღები ალტერნატივის არარსებობა არ იძლევა საკმარის საფუძველს, ყველა თუ არა, უმრავლეს ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმატებული კონსოლიდაციის უზრუნველსაყოფად? ამ კითხვას უარყოფითად ორი გარემოების გამო უნდა ვუპასუხოთ:

1. სავსებით შესაძლებელია დემოკრატიის ამჟამინდელი იდეოლოგიური ჰეგემონია იმდენადვე დაიშრიტოს, რამდენადაც ახალბედა დემოკრატიებში სწრაფი და რეალური შედეგების მიუღწევლობა გააღრმავებს იმედგაცრუებას, რამაც თავის მხრივ შეიძლება ძველი ავტორიტარული თემები გააცოცხლოს და ახლებიც წარმოქმნას.

2. მაშინაც კი, როცა ავტოკრატიები ვერ ახერხებენ აღორძინებას, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ დემოკრატიები ზედმეტად ნელი სვლით განვითარდებიან, საკუთარ მოქალაქეებს მოლოდინსა და იმედს ვერ გაუმართლებენ და ვერც პოლიტიკური შეჯიბრისა და თანამშრომლობის მისაღებ და პროგნოზირებად წესებს დაადგენენ.

პირველ შემთხვევაში, წესისამებრ, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად “მეყსეული სიკვდილი” დგება. მეორე ვარიანტი “გრძელვადიანი, დროში გაწელილი” გარდაცვალების დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას იძლევა: დემოკრატია თანდათანობით, თვალსა და ხელს შუა უჩინარდება და მმართველობის სხვა ფორმას უთმობს ადგილს.

გაკვირვებას ის იწვევს, რომ აქამდე პირველი სცენარის მიხედვით იშვიათად თუ წარმართულა მოვლენები. განსაკუთრებით შთამბეჭდავია, რომ 1974 წლის 25 აპრილს პორტუგალიაში კაეტანო-სალაზარის რეჟიმის დაცემას დემოკრატიაზე გადასვლის ორმოცზე მეტი შემთხვევა მოჰყვა, მაგრამ მისი კოლაფსის მხოლოდ თითო-ოროლა ფაქტი მოგვეპოვება: წინა ეტაპებისას (შესაბამისად 1848-1852, 1914-1920, 1945-1956 წლებში) ფართო დემოკრატიზაციის ყოველი ტალღის შემდეგ, ყველა თუ არა, ბევრი სახელმწიფო ან უბრუნდებოდა სტატუს კვოს, ან კიდევ უარეს რეჟიმს ქმნიდა. მაგრამ ბოლო პერიოდში წარმოქმნილი დემოკრატიული სახელმწიფოები ახერხებდნენ დღემდე ამ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს დასხლტომოდნენ. უფრო მეტიც, თვით რამდენიმე აშკარა გამონაკლისის მაგალითით თუ ვიხელმძღვანელებთ (ბირმა, ბურუნდი, ჰაიტი, ტოგო, გაბონი, კონგო, ალჟირი, სურინამი), დავინახავთ, რომ ყველაზე სახიფათო მომენტი მაშინ დგება, როცა ქვეყანაში ეროვნული არჩევნების გამარ-

თვას ცდილობენ. თუკი ავტოკრატები თანხმდებიან ამგვარ არჩევნებს და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობის შექმნის ნებას იძლევიან, მნიშვნელოვნად მატულობს პირდაპირი რეგრესის თავიდან არიდების შანსი.

ტაილანდი და ნიგერია, როგორც ჩანს, რეჟიმის ტიპის მუდმივმერყეობის განსაკუთრებულ შემთხვევებს განასახიერებენ. ტაილანდს ცოტა ხნის წინ დემოკრატიისკენ შემობრუნების ნიშნები დაეტყო, მაშინ როცა ნიგერია ჯერაც ციკლის საპირისპირო რკალშია მოქცეული. მაგრამ ყველაზე მკაფიო უდავოდ ჰაიტის მაგალითია. ამ ქვეყანაში რამდენიმე კანდიდატის მონაწილეობით თავისუფალი არჩევნების გამართვის თავდაპირველმა ექსპერიმენტმა გაურკვეველი შედეგი გამოიღო. აღდგა სამხედრო რეჟიმი. მცირე პაუზის შემდეგ ისევ დემოკრატიის ტენდენცია გაძლიერდა, მაგრამ იგი კვლავ მიანელა სამხედრო ძალამ. რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში გაურკვევლი იყო საბოლოოდ რას მივიღებდით. 1993 წლისთვის, როცა საპრეზიდენტო თანამდებობას ჟან ბერტრან არისტიდი დაუბრუნდა, გვეჩვენებოდა, რომ ვითარება საერთაშორისო თანამეგობრობის შუამავლობის წყალობით საბოლოოდ მოგვარდებოდა, მაგრამ ისევ ჰაიტელმა სამხედროებმა გამოიღეს ხელი. თუმცა კი გვატემალას მაგალითი ცხადყოფს, რომ გარედან ძლიერ ზეწოლას, შიდა სეგმენტაციასთან ერთად, შეუძლია სწრაფად მოიგერიოს ავტორიტარიზმის შეტევა და სახელმწიფო იმაზე დემოკრატიული გახადოს, ვიდრე მანამდე იყო.

ეს სულაც არ მოასწავებს იმას, რომ ეროვნული არჩევნების გამართვის შემდეგ ამ გამოცდილების მქონე ქვეყნები აუცილებლად კონსოლიდაციის გზას დაადგებიან. ავტოკრატიის რეგრესსა და დემოკრატიის პროგრესს შორის იოლი არჩევანი არ არსებობს, ვინაიდან, სულ მცირე, კიდევ ორი სხვა შესაძლებლობაც იჩენს თავს:

1. ჰიბრიდული რეჟიმი, რომელიც ავტოკრატიული და დემოკრატიული რეჟიმების ელემენტებს აერთიანებს;

2. მდგრადი, მაგრამ არაკონსოლიდირებული დემოკრატია.

განსაკუთრებით მაშინ, როცა გარდამავალი პერიოდი ზემოდან არის ინიცირებული და თავსმოხვეული, ძველი მმართველები საკუთარ ინტერესებს იმით იცავენ, რომ ახალ, ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ რეჟიმს "ავტორიტარული" ილეთების ხიბლით აცდუნებენ. როცა ეს სახელმწიფოები ლიბერალიზაციას დემოკრატიის გარეშე იწყებენ (ანუ, როცა ისინი ზოგიერთ ინდივიდუალურ უფლებას თმობენ, მაგრამ ხალხის, მოქალაქეების წინაშე თავიანთი ანგარიშვალდებულების გარეშე), წარმოიქმნება რეჟიმი, რომელიც დიქტაბლანდად მოიხსენიება. ხოლო იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც დემოკრატიზაცია ლიბერალიზაციის გა-

რეშე ხორციელდება (ანუ, როცა არჩევნები იმართება, მაგრამ მმართველი პარტიის გარანტირებული გამარჯვების პირობით, როცა პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების მონაწილეობა გამოირიცხება, ან არჩეულ მოქალაქეებს ნამდვილი მართვის შესაძლებლობა ერთმევათ) ნეოლოგიზმი დემოკრატურა შეიძლება მივუსადაგოთ.

ვერც პირველ და ვერც მეორე ვარიანტებს დემოკრატია ვერ დაერქმევა, მაგრამ საბოლოოდ ორივეს აქვს იმის პოტენციალი, რომ შეჯიბრებითობისა და ანგარიშვალდებულების შემცველი მმართველობის ტიპის დამყარებამდე მისვლა განაპირობონ. ჩვეულებრივ, დიქტაბლანდები მხოლოდ მცირე ხნით ძლებენ, რადგან ლიბერალიზაცია ხშირად სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებას იწვევს, რომელიც გაცილებით მეტი უფლების მოპოვებას ახერხებს, ვიდრე ეს ავტოკრატების გეგმებსა და ჩანაფიქრში შედიოდა. დემოკრატურის პირობებში არჩევნები ჩვეულებრივ მოულოდნელ გამარჯვებულებს ავლენს ხოლმე, რომლებსაც, თავის მხრივ, სამოქალაქო მთავრობის ავტორიტეტი სამხედრო ტიპის ავტორიტარული ანკლავების პრეროგატივების შესამცირებლად შეუძლიათ მიმართონ. მაგრამ ამ შესაძლებლობას ნუ გადავაჭარბებთ. ამგვარი ჰიბრიდული წარმონაქმნები ძირითადად უფრო ფასადის როლს ასრულებენ ავტოკრატიის გასაძლიერებლად. როგორც კი გარედან ზეწოლა მცირდება ან შიდა მტრები გამბედაობას კარგავენ, მმართველებს უმალ უჩნდებათ სურვილიცა და საშუალებაც დაუბრუნდნენ სტატუს კვოს ან უარესი რეჟიმი დაამკვიდრონ.

დიქტაბლანდებიცა და დემოკრატურებიც, განსაკუთრებით ცენტრალურ ამერიკასა და აფრიკაში, საკმაოდ გავრცელებულ მოვლენად იქცნენ, ვინაიდან ავტორიტარულ მმართველებს თავიანთ სახელმწიფოებში დემოკრატიული მექანიზმების შემოტანით დემოკრატიზაციის მომთხოვნი საერთაშორისო ძალების თვალის ახვევა სურთ ხოლმე. გვატემალა სწორედ ამგვარ დემოკრატურას წარმოადგენდა. აქ 1984-1985 წლებში რეგულარულად იმართებოდა არჩევნები, მაგრამ სამოქალაქო ხელისუფლება სამხედროების მიერ იყო შეზღუდული. სალვადორი, სადაც 1982 წლიდან არჩევნებს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების სისტემატური შელახვა ახლდა თან, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევაა. თუმცა ახლა მას შეუძლია დემოკრატიის მიმართულებით გადალახოს ზღურბლი, თუკი, რა თქმა უნდა, გაეროს შუამავლობით მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება სრულიად სხვა ატმოსფეროს შექმნის უზრუნველყოფას შეძლებს 1994 წლის არჩევნებისას. კენია, ტოგო, გაბონი, ზაირი, კოდ დ’ვუარი და მრავალი სხვა აფრიკული სახელმწიფო უფრო დიქტაბლანდებს ჰგვანან, ვი-

ნაიდან იქ შეჯიბრებითობაცა და მრავალპარტიულობაც უფრო დიდი ხარისხითაა დაშვებული, მაგრამ არჩევნები (თუკი მათ საერთოდ მართავენ) მმართველი ჯგუფის მანიპულაციებს ექვემდებარება. როგორც ჩანს, არც ერთ ამ რეგიონში ჰიბრიდულ რეჟიმებს არ შეუძლიათ გარდამავალი პერიოდის პრობლემების სტაბილური გადაწყვეტის უზრუნველყოფა. ცენტრალურ ამერიკასთან დაკავშირებით გაჩნდა იმედი, რომ ამ რეჟიმების შესაძლო დასასრული სიცოცხლეს შთაბერავს ნამდვილი დემოკრატიის ექსპერიმენტებს. აფრიკაში ამდაგვარი რეჟიმების არსებობა მეტწილად მმართველების თავისებური იმპროვიზაციებითაა განპირობებული. ისინი საერთაშორისო კლიმატის შეცვლის მოლოდინით ცდილობენ დრო მოიგონ, რომ შემდეგ ავტოკრატიას დაუბრუნდნენ.

სამხრეთ ამერიკაში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში გარდამავალი პერიოდის მთავარი მახასიათებელი კონსოლიდაციის არარსებობაა. როგორც ჩანს, ამ რეგიონებში ბევრი სახელმწიფო მათი სოციალური სტრუქტურის შესატყვისი და მოქალაქეებისთვის მისაღები სტაბილური თვითმმართველობის ფორმის დადგენას ვერა და ვერ ახერხებს. აქ დემოკრატია ყველაზე ზოგადი აზრით არის აღქმული და ავტოკრატიის დასრულებისთანავე მყარდება, მაგრამ დამოუკიდებლად სპეციფიკური, სანდო და საყოველთაოდ მიღებული წესების ნაერთად ის არასდროს იქცევა. ეს ქვეყნები თითქმის "განწირული" არიან დემოკრატიებად არსებობისთვის. ეტყობა, რომ დემოკრატიის არანაირი სერიოზული ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს. იმართება არჩევნები, დაშვებულია გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება; უფლებებს პატივისცემით ეკიდებიან, ხელისუფალთა თვითნებობა შემცირებულია; სხვა სიტყვებით, გარკვეულწილად, მინიმალური პროცედურული მოთხოვნები დაცულია, მაგრამ რეგულარული, მისაღები და წინასწარგანსაზღვრული დემოკრატიული ფორმების საბოლოო კრისტალიზაციამდე საქმე ვერ მიდის. მართალია დემოკრატია სხვა რეჟიმით არ იცვლება, მართალია ის ნარჩუნდება, მაგრამ ახალი პრობლემების წარმოშობისდა კვალად ად ჰოც ად ჰოშ ანემ რეჟიმში ფუნქციონირებს. ამგვარი გარემოებების დროს მიუღწეველია რაიმე საერთო კონსენსუსი, რომელიც პარტიულ და ორგანიზაციულ ინტერესებს ან ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს განსაზღვრავდა.

მუდმივად არაკონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყნის ნიმუშად ხშირად ასახელებენ არგენტინას, სადაც დიქტატურასთან პერიოდული მიბრუნებით დემოკრატია წყვეტას განიცდის ხოლმე. ამ სახელმწიფოში ფაქტობრივად ყოველი ახალი არჩევნები ახალი წესებით იმართება; ყოველი პარტია მოწინააღმდეგის ჰეგემონიის პრეტენზიას უფრთხის; ამ-

ომრჩეველთა სიმპათია ერთი პარტიიდან მეორისკენ სრულიად აუხსნელი მიზეზების გამო ინაცვლებს; კონსტიტუციური კანონები ხელისუფლების ჩარევის საწინააღმდეგო ბარიერს ვერ აღმართავს; აღმასრულებელი ხელისუფლება კონცენტრირებულია და პერსონალისტურად მოქმედებს; სამხედრო ხელისუფლების სეგმენტები არჩეული ოფიციალური პირების წინააღმდეგ გამუდმებულ შეთქმულებაში რჩებიან ჩაბმულნი. გარკვეულწილად ბრაზილიაში, პერუში და ფილიპინებზე შექმნილი ვითარებაც ასევე შეიძლება აღიწეროს. ჯერ კიდევ ძნელია ამის განჭვრეტა, მაგრამ "არგენტინიზაცია"ზოგიერთი აღმოსავლეთევროპული დემოკრატიისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახელმწიფოების ყველაზე სავარაუდო პერსპექტივად შეიძლება იქცეს.

დილემების ტაქსონომია

დემოკრატიზაციის გზაზე ჩამალული წყალქვეშა რიფების შესახებ დისკუსიაში მეტი სიცხადის შესატანად "დილემის" ცნებას უნდა მივმართოთ. ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს, თუკი ის ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანი ნაკრების კონსოლიდაციას შეეცდება, რთული არჩევანის განხორციელება მოელის. გარდამავალი პერიოდის ჩქარი ტემპისგან განსხვავებით, კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, ჩვეულებრივ, ხანგრძლივ მოლაპარაკებებს მოითხოვს. დიალოგის პროცესში ის მხარეები და მოღვაწეები არიან ჩაბმულნი, რომლებიც მარტო ერთმანეთის შესახებ კი არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას, არამედ იმასაც ბოლომდე აცნობიერებენ, რომ აწმყოში ამ მუშაობის შედეგით იქნება განსაზღვრული მათი მომავალი ურთიერთქმედება. აქედან თანაბარი სარგებლის გამოტანის ილუზია ყველა თუ არა, თითქმის ყველა მხარეს, რა თქმა უნდა, არ უნდა აწუხებდეს, მაგრამ ერთი მხრივ გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ მიკერძოება და უპირატესობის მინიჭება წესებისა და ინსტიტუტების პატივისცემასთან შეუთავსებელია, ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროა იმის გააზრებაც, რომ ნებისმიერი არჩეული ალტერნატივა დააზარალებს ერთს და წაადგება მეორეს. კონკრეტული სახელმწიფო დემოკრატიის "საკუთარ" ტიპს სწორედ ამ დილემების გადაჭრისას და პროცედურების უსიამოვნო შერჩევის მეშვეობით ირჩევს. წარუმატებლობის შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად იზრდება რეგრესის, კონსოლიდაციის შეუძლებლობისა და ჰიბრიდიზაციის რისკი.

უნდა არსებობდეს მზადყოფნა, რომ მასების თავდაპირველ ეიფორიას შეცვლის მძიმე განცდა: ტირანების დამხობა რაღაც მაგიური გზით სულაც არ აღმოაცენებს უსასრულო ჰარმონიასა და კეთილშობილ გრძნო-

ბებს; რომ სახალხო აჯანყება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უძლურია თავისთავად აღძრას "კეთილი ნება" და მისით გამსჭვალოს ყველა სოციალურ-პოლიტიკური ქმედება; რომ "პატიოსან დემოკრატებს" დაუსრულებლად შეუძლიათ აშკარად წვრილმანი დეტალების გამო კინკლაობა; რომ დემოკრატიას თავისთავად არ მოაქვს თავისუფლება, თანასწორობა, კეთილდღეობა, სამართლიანობა, უსაფრთხოება, თანაბარი შესაძლებლობები და ხელისუფალთა ანგარიშვალდებულება, ᲯᲞᲚᲘ ᲔᲢᲚ ბეაუ ᲭᲛ პს (ერთდროულად დარი და წვიმა), ამიტომ, რასაკვირველია, დადგება განხიბლვის ჟამი და სულ უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება შეკითხვა: დემოკრატიის სანაცვლოდ ღირდა კი ასეთი ღელვა და ამდენი გაურკვევლობის გადატანა?

აშკარაა, რომ ყველა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე წამოიჭრება ქვეყნის ისტორიასთან, გეოსტრატეგიულ მდებარეობასთან, ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მტკივნეული არჩევანის განხორციელების აუცილებლობა. მაგრამ ეს სახელმწიფოები უთუოდ რაღაც საერთო პრობლემებსაც წააწყდებიან. ეს საერთო დილემები რომ განვსაზღვროთ, უკეთ შევძლებთ პროგნოზის გაკეთებასაც.

მოდით, იმით დავიწყოთ, რომ დილემების ორი საერთო კატეგორია გამოვყოთ:

თანამედროვე დემოკრატიისთვის, მისი აღმოცენების ადგილისა და დროისგან დამოუკიდებლად, შინაგანად დამახასიათებელი დილემები;

გარე დილემები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ახალი დემოკრატიული წესებისა და პრაქტიკის თავსებადობას არსებულ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ გარემოპირობებთან.

შიდა დილემები

შოკის მომგვრელი ემოცია იმის გაცნობიერებასაც შეიძლება მოჰყვეს, რომ დემოკრატია მთელი თავისი სტაბილურობის მიუხედავად, ყოველთვის არ მუშაობს გამართულად. ამ ნარკვევში ჩვენ შიდა სირთულეებზე მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით, რადგან ეს საკითხი საკმაოდ დეტალურად არის გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში და თანაც ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები უმთავრესად გარე დილემებით არიან დამძიმებულნი. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, შიდა დილემებმაც (მათ ჩამოთვლას ქვემოთ ვაპირებ) იმ წესების დადგენისა და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავების სირთულეებზე იქონიონ გავლენა, რომლებიც შეთავსებადია ძირითად სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან.

1. ოლიგარქია. რობერტო მიჩელსმა პირველმა შენიშნა, რომ ყველაზე დემოკრატიულ ინსტიტუტებშიც კი პროფესიონალი ლიდერები და ადმინისტრაცია, თანამდებობის ფაქტორის წყალობით, ჩვეულებრივ, გარკვეულ უპირატესობას ფლობენ, რაც მათ კონკურენტებთან ბრძოლაში დამარცხების საფრთხისგან იცავს. მათ მიერ შემუშავებული "რკინის კანონი" ფაქტობრივად აცხადებს, რომ ყველა პარტია, ასოციაცია და მოძრაობა (რომ არაფერი ვთქვათ კანონმდებელ ორგანოზე) ნელ-ნელა ოლიგარქიული ხდება და, ამგვარად, ისინი სულ უფრო ნაკლებ ანგარიშვალდებულად თვლიან თავს საკუთარი წევრებისა და საზოგადოების წინაშე.

2. თვითჩამოშორება. მენკურ ოლსონი შესაძლოა ამ ჭეშმარიტების პირველაღმომჩენი არ ყოფილა, მაგრამ სისტემატურად იმეორებდა, რომ ინდივიდებს არ ამოძრავებთ რაციონალური სტიმულები, რომლებიც მათ უბიძგებდნენ თავიანთივე ნებით შეეწყოთ ხელი ისეთი საზოგადოებრივი სიკეთეების გამყარებისთვის, რომლებიც დემოკრატიას ინარჩუნებენ ანდა მისი მეშვეობით იქმნებიან. კერძო პირთათვის საარჩევნო კომპენსაციის არარსებობის პირობებში, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს უვითარდებათ ხოლმე წარმოდგენა, რომ მნიშვნელობა არა აქვს მისცემ თუ არა ხმას, გაერთიანდები თუ არა ასოციაციებში ან, თუნდაც, ჩაებმები თუ არა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ვინაიდან, მათი აზრით, ცალკეული პირების ესა თუ ის ქმედება ნაკლებად ან საერთოდ არ აისახება შედეგზე. სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეები ამგვარი მოღვაწეობის "ტვირთს" ,პოლიტიკურ ანტრეპრენიორებს გადასცემენ, მათზე ახდენენ თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის მოზრდილი წილის დელეგირებას. ეს უკანასკნელნიც, შესაბამისად, თავიანთი მიმდევრებისა თუ კლიენტებისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებენ.

3. "ციკლურობა პოლიტიკაში". ყველა თანამედროვე დემოკრატია ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის შემოსავლებისა და დანაზოგების არათანაზომადი გადანაწილების პრობლემას ეჯახება. ყოველთვის, როცა ამის მიზეზი ერთსულოვნების კი არა, უმრავლესობის პრინციპით ხმის მიცემაა, არამდგრადი უმრავლესობის "ციკლირების" შესაძლებლობა ჩნდება. ამ ტიპის უმრავლესობას დროებითი კოალიციები პოლიტიკური ქმედებების მერყევი სერიის შედეგად წარმოქმნის და მისი საბოლოო ეფექტი ყოველთვის გაუცხოებაა.

4. ფუნქციონალური ავტონომია. ყველა დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა სპეციალურ არადემოკრატიულ ინსტიტუტებზეა დამოკიდებული: ასეთებია, მაგალითად, შეიარაღებული ძალები და ცენტრალური ბანკი. ამგვარმა ინსტიტუტებმა თავიანთი ფუნქციები ეფექტურად

რომ შეასრულონ, ისინი მოსახლეობის ზეწოლისა და პარტიზანული კონკურენციისგან დაცულნი უნდა იყვნენ. ამ ინსტიტუტების როლი უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება მშფოთვარე, კონკურენტულ სოციალურ გარემოში, ამასთან, ექსპერტების ძალაუფლება, რომლებიც მათ საქმიანობას უძღვებიან, პარლამენტისა და მთავრობის ლიდერების ხარჯზე იზრდება. მაგრამ მხოლოდ ეს უკანასკნელნი არიან ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულნი.

5. ურთიერთმიბმულობა. ყველა თანამედროვე მსხვილი და მძლავრი დემოკრატია არამარტო სხვა სუსტ დემოკრატიებთან, არამედ ზოგიერთ ავტოკრატიასთან ერთად ურთიერთდამოკიდებულების რთულ ბადეშია გახლართული. პრინციპში, არჩეული ნაციონალური ლიდერები სუვერენულები არიან (ანუ მხოლოდ თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციის წინაშე უწევთ ანგარიშგება), მაგრამ პრაქტიკულად მათი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია ტრანსნაციონალურ კომპანიათა გადაწყვეტილებების, იდეათა გავრცელების, საზღვარზე პირთა გადაადგილებისა და მეზობლების პოლიტიკური გავლენის კონტროლის თვალსაზრისით. რაკიღა მათი ძალაუფლება სახელმწიფოს ჩარჩოებითაა დასაზღვრული, მათთვის სულ უფრო რთული ხდება თავიანთი მოქალაქეების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ჰტტპ://წ წ წ.ფცებოოკ.�მ /ნოტეს/ზჰუნალსოლიდარობა/ფილიპ-კ-შმიტერი-დილემები-და-საფრთხეები-ii/130246470371912

ფილიპ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (II)

ბყ ჟურნალი "სოლიდარობა" ონ ონდაყ, ჟანუარუ 3, 2011 აგ4:46ამ

II

გარე დილემები

დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი გარე დილემების პირისპირ ახალგაზრდა დემოკრატიებიც დადგებიან. მაგრამ მანამდე, სანამ მათი ინსტიტუტები ოლიგარქიზაციას დაექვემდებარებიან, ხოლო მოქალაქეებს გაუნელდებათ ენთუზიაზმი და ნაწილობრივ ჩამოშორდებიან პოლიტიკას, სანამ წარმოიქმნება “ციკლურობა” და, შესაძლოა, მანამდეც, სანამ შეიარაღებული ძალები და ცენტრალური ბანკი თავიანთ ფუნქციონალ-

ურ ავტონომიას შემოსაზღვრავენ, ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებს წესების დადგენა და გაცილებით უფრო არსებითი გარე დილემების დასაძლევად პრაქტიკული ზომების შემუშავება მოუწევთ.

გარე დილემებთან დაკავშირებული პრობლემის არსს კარგად გადმოსცემს ესპანური ზმნა "ალცაურ", რაც ოპტიმალური გადაწყვეტილების თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს. საკითხის არსი ისაა, რომ ალტერნატიულ ინსტიტუციონალურ ქმედებათაგან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული რეალიების შესაბამისი დამავალდებულებელი და კოლექტიური არჩევანი უნდა გააკეთო (ან უარი თქვა არჩევანზე, როგორც ეს შემდეგ იქნება ნაჩვენები). შორეულ მომავალში განმტკიცებული დემოკრატიები შესაძლოა ამ "შემზღუდავი გარემოპირობების" მთლიანად შეცვლას მოახერხებენ. მაგრამ დღეს ფაქტია, რომ სახელმწიფოები, რომლებიც დემოკრატიულ გარდაქმნას ახორციელებდნენ და იმავდროულად სწრაფად ცვლიდნენ მესაკუთრეთა უფლებებს, სიმდიდრის გადანაწილების წესს, წონასწორობას კერძო პირთა ძალასა და საჯარო დაწესებულებების ძალაუფლებას შორის და ა.შ., როგორც წესი, წარუმატებლობას განიცდიდნენ და ამასთანავე მნიშვნელოვნად ართულებდნენ დემოკრატიის კონსოლიდაციას. პორტუგალიელებმა ეს გაკვეთილი 1975-74 წლების მწარე გამოცდილების შედეგად მიიღეს. მეზობელმა ესპანელებმა კი მათი გამოცდილებიდან დასკვნა გამოიტანეს და პრობლემები რიგრიგობით გადაჭრეს. ჩილე ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით უფრო მტკივნეულად შეეჯახა შეგნებულად თავსმოხვეულ "შემზღუდავ პირობებს", მაგრამ ძალიან ფრთხილად და თანმიმდევრულად შეუდგა მათ ლიკვიდაციას. სამწუხაროდ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კაშირის ქვეყნებში გარდაუვალი იყო გრადუალიზმის არჩევანი. ეს ქვეყნები პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში დილემების მთელი კომპლექსის წინაშე აღმოჩნდნენ.

გარე დილემებზე გამოძახილსა და პასუხს შეიძლება სხვადასხვა ხარისხის "გააზრება და არჩევანი" მოჰყვეს. "კლასიკურ" მოდელს (1787 წლის ფილადელფიის კონვენცია ამის საუკეთესო ილუსტრაციაა) "დამფუძნებელი კრება" წარმოადგენს. ესპანეთში ეს გამოცდილება ყველაზე ეფექტურადაა გამოყენებული. საპირისპიროდ, ზოგიერთ ქვეყანაში, საკვანძო ფიგურები ამ არჩევანის უარყოფაზე შეთანხმდნენ. მათ, უბრალოდ, გააცოცხლეს მანამდე გამოყენებული ინსტიტუციონალური ფორმები – ცალკეულ შემთხვევაში ავტორიტარული პერიოდი ხანმოკლე იყო და შედარებით უფრო მძიმე შედეგების გარეშე ჩაიარა (როგორც საბერძნეთში 70-იანი წლების შემდეგ), სხვა შემთხვევაში კი ძველი დამფუძნებელი

დოკუმენტი ისევ ვარგისად იყო მიჩნეული (როგორც არგენტინაში ან ლიტვაში). ფილიპინებზე შუალედური პროცედურების არჩევა ექსპერტთა კომიტეტმა განახორციელა, ხოლო ჩილეში ისევ ის დოკუმენტი მოქმედებს, რომელიც ყოფილმა დიქტატორმა აუგუსტო პინოჩეტმა მოახვია თავს ქვეყანას. ბრაზილიასა და ზოგიერთ აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოს ხანგრძლივი დრო დასჭირდათ თავიანთი ინსტიტუტების ფორმალურ შესაბამისობამდე მისაყვანად. ინსტიტუტების ამა თუ იმ თვითშემზღუდავი სისტემის არჩევისას უკიდურესად უუნარო დემოკრატიის ნიმუშს რუსეთი წარმოადგენს.

მცირეა დემოკრატიული გარდაქმნის პროცესში მყოფი იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც გარე დილემებს რეფლექტური და ლოგიკური გზით წყვეტენ. უმრავლესობა ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა, იმ შემთხვევაშიც კი, თავიანთი არჩევანის შეცვლა რომ მოუწიოთ მომდევნო ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული ცვლილებებისა და ასევე თაობათა ცვლის ფონზე. აქ ემოციური განწყობები და ჩვევებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ეს კი ყოველთვის არ უზრუნველყოფს ადეკვატურ და ოპტიმალურ ინსტიტუციონალურ არჩევანს.

ბოლო ოცი წელია დემოკრატიზაციამ მოიცვა როგორც წარსულში მეტისმეტად ხანმოკლე და წარუმატებელი დემოკრატიული გამოცდილების მქონე ქვეყნები (უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალი, კონგო, ტაილანდი და სამხრეთ კორეა), ასევე იმ ქვეყნების საკმაოდ დიდი რაოდენობაც, რომლებიც საერთოდ არ იცნობდნენ დემოკრატიას (პარაგვაი, მონგოლეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, ეთიოპია, ანგოლა, ყველა შუააზიური რესპუბლიკა, ტაივანი და რუსეთი). პრინციპში, ასეთი ვითარება დამოუკიდებელი და ადეკვატური ინსტიტუციური არჩევანისთვის, ერთი შეხედვით, უფრო ხელსაყრელი უნდა იყოს, მაგრამ პრაქტიკულად, ადვილი მისახვედრია, რომ საბოლოოდ ამ ქვეყნების უმრავლესობა უცხოელი მრჩეველების (ფარულ) დახმარებასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას დაეყრდნობა. თუმცა, როგორც ჩვენ შემდეგ ვნახავთ, სპეციფიკური დილემების გადასაჭრელად შესაბამისი ინსტიტუტების არჩევაში პოლიტოლოგია მათ ალბათ განსაკუთრებულ შემწეობას ვერ აღმოუჩენს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკოსებს, რომლებსაც არსებული ვითარება ხანგრძლივი დემოკრატიული კონსოლიდაციის სასარგებლოდ წინასწარ ინსტიტუციურ არჩევანს ავალდებულებს, ამასთანავე ისეთ "წვრილმანებზეც" უწევთ ზრუნვა როგორიცაა, მაგალითად, თანამდებობის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, რადგან იმათი უმრავლესობა, ვინც დემოკრატიულ გარდაქმნას ახორცი-

ელებს, პროფესიონალი პოლიტიკოსია. ანუ პოლიტიკური საქმიანობის გარდა მათ, როგორც წესი, სხვა პროფესია ან საარსებო წყარო არ გააჩნიათ. ამიტომ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საკუთარ კარიერულ მისწრაფებებზე მაღლა მათ საერთო ინტერესები დააყენონ.

პოლიტიკური წეს-ჩვეულებები და ცალკეული პრეცედენტები რომ გამოვრიცხოთ, ერთადერთი, რასაც ამგვარ არჩევანზე მართლაც უმნიშვნელოვანესი გავლენის მოხდენა შეუძლია, გარდამავალი პერიოდის ტიპი და თავისებურებაა. მასების მობილიზაციის შესაძლებლობებს შორის განსხვავება (ელიტის დომინირების ნაცვლად) და ძალადობის სხვადასხვა მასშტაბი (მოლაპარაკების პროცესის მაგივრად) შემაკავებელი საშუალებების გამოყენების ვარიანტიულობას ბადებს. შემდგომი კონსოლიდაციისთვის საუკეთესო გარემო "შეთანხმებული გარდამავალი პერიოდია", ანუ სიტუაცია, როცა მანამდელი ავტოკრატიული ელიტა და ოპოზიცია პატურ მდგომარეობაში შედიან და იძულებული ხდებიან ერთმანეთის ინტერესებს პატივი სცენ. ყველაზე უფრო ნაკლებსასურველს რევოლუციური გზა წარმოადგენს: ძველი რეჟიმის დასამხობად მობილიზებული მასები ძალადობას მიმართავენ. სხვა, შუალედური, მეთოდებია: თავსმოხვეული გარდამავალი პერიოდი, როცა ავტოკრატიული ელემენტები პირობებსა და წყობის შეცვლის ტემპს განსაზღვრავენ; რეფორმისტული გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც მასების მობილიზაცია, მართალია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ ხელისუფლება არაძალადობრივად ემხობა.

ძირითადი გარე დილემების მოკლე აღწერისას, მოდით, ნუ დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ მოცემული ქვეყნის დემოკრატიული გამოცდილებით წარმოშობილი და ნასაზრდოები წესჩვეულებები და გარდამავალი პერიოდის ამა თუ იმ მეთოდის შესაბამისად განლაგებული მოქმედი პირები იძლევა ძალაუფლების ინსტიტუტების ადეკვატური გამოყენების საკითხის სწორი შეფასების საშუალებას.

იდენტიფიკაციის საზღვრები

თუკი საერთოდ შეიძლება არსებობდეს დემოკრატიული გარდაქმნის განხორციელების ერთიანი პოლიტიკური წანამძღვარი, მაშინ ეს წინამორბედი ლეგიტიმური პოლიტიკური ერთობის არსებობა უნდა იყოს. მოქმედ პირებს, ვიდრე ისინი კონკურენციისა და თანამშრომლობის პირობათა გარკვევის ჩვეულ საქმიანობას შეუდგებიან, სათამაშო მოედნის საზღვრებში მყოფი სხვა მოთამაშეების შესახებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სათანადო წარმოდგენა. ამ საზღვრების დადგენისა და მოთამაშეების იდენტიფიკაციისას უმთავრესია "ნაციონალობის" პრინციპი. სამ-

წუხაროდ, ხშირად სიცხადეს მოკლებულია ის, თუ რას წარმოადგენს ნაცია დემოკრატიზაციამდე, დემოკრატიზაციისას და დემოკრატიზაციის შემდეგ. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტებიც, როგორიცაა წინაპრები, ენა, სიმბოლოები და ისტორიული მეხსიერება. მაგრამ ოპორტუნისტული არჩევანისა და კოლექტიური ენთუზიაზმის ელემენტებიც ყოველთვის რჩება. დარწმუნებით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: ნაციონალური იდენტობისა და საზღვრების შეგრძნება საიდუმლო და რთული ისტორიული პროცესების შედეგია, რაც ამის მიუხედავად მაინც ექვემდებარება მანიპულაციის შესაძლებლობას. თავად დემოკრატიზაცია შეიძლება ხელს უწყობდეს კიდეც მოქმედ პირებს, რომ ლოიალური საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით ამგვარ მანიპულაციებს მიმართონ. თუმცა ეს გადაწყვეტილება კარდინალურ ხასიათს არ იძენს. ერთა თვითგამორკვევის, პლებისციტისა და რეფერენდუმის ლოზუნგებისთვის საერთოდ უცხოა საარჩევნო უფლებისა და გამარჯვებული უმრავლესობის მიერ დამარცხებული უმცირესობისთვის ნების თავსმოხვევის კანონიერების საკითხები.

კაპიტალისტური წარმოება, დაგროვება და განაწილება

ყველა განმტკიცებული დემოკრატია ისეთ ქვეყნებში არსებობს, სადაც ეკონომიკური წარმოება და დაგროვება უმთავრესად კერძო ფირმების პრეროგატივაა; სადაც განაწილება ძირითადად საბაზრო მექანიზმების მეშვეობით ხდება. მაგრამ ყველა ასეთ სახელმწიფოში ამ პროცესების შედეგებზე გავლენას ახდენს (სავარაუდოდ, სხვადასხვა სახითა და ხარისხით) საზოგადოებრივი ჩარევა. ამას დემოკრატიული მთავრობები უშვებენ და მას მხარს უჭერს მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან პარადოქსული რამ უნდა დავასკვნათ:

დემოკრატიისთვის კაპიტალიზმი აუცილებელი (თუმცა არასაკმარისი) პირობაა;

კაპიტალიზმი რომ დემოკრატიასთან თავსებადი იყოს, აუცილებელია მისი მოდიფიცირება.

კერძო და სახელმწიფო საკუთრებას შორის ჰიბრიდული შუალედის არჩევა, შემოსავლის გადანაწილება, ჯანდაცვის სფეროს რეგულაცია, შრომისა და მომხმარებლის უფლებათა დაცვა, კრედიტების სუბსიდირება, მრეწველობის ხელშეწყობა, საგარეო ვაჭრობის პროტექციონირება კი არ არის იმდენად დილემური, რამდენადაც ის, რომ არჩევანის შესაძლებლობათა დინამიკური სპექტრი კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა სტადიასთან და საერთაშორისო სისტემაში განსხვავებულ მდებარეობასთანაა დაკავშირებული. "აბა დამეწიეს" თამაში, როგორც ჩანს, ეკონომიკ-

ის პერიფერიულ დარგებში სახელმწიფო ჩარევის მძლავრ საყრდენს მოითხოვს. ამიტომ კაპიტალის დაგროვების პროცესში კრიტიკული ზღუდეების გადალახვამ, აშკარად ავტორიტარულ ბიუროკრატიულ მმართველობასთან დაბრუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შესაძლოა მართვის ავტორიტარული მეთოდების გამოყენება მოითხოვოს.

კარგია, თუ მანამდელმა ავტოკრატიამ უკვე მოახერხა შემოსავლის კონცენტრირება, წახალისა კერძო სექტორი, გაზარდა სახელმწიფოს ფისკალური შესაძლებლობები, განავითარა ქვეყნის ფიზიკური ინფრასტრუქტურა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაც გააუმჯობესა, რითაც მემკვიდრეებს ნებით თუ უნებლიეთ ბევრად შეუმსუბუქა საქმე. ახალმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა, ამგვარი ავტოკრატიების მემკვიდრეებმა – ესპანეთმა, ჩილემ, შედარებით უფრო მოკრძალებულად თურქეთმა, საბერძნეთმა, ურუგვაიმ და ბრაზილიამ – აღმოაჩინეს, რომ ამის შედეგად კონსოლიდაციის ამოცანის გადაჭრა მათთვის უფრო გაიოლდა.

მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად წინა რეჟიმის მემკვიდრეობას კორუფცია, პროტექციონიზმი, ფასების მერყეობა, უეფექტო სახელმწიფო წარმოებები, დარღვეული სავაჭრო ბალანსი და ფისკალური არასტაბილურობა წარმოადგენს. პერუსა და არგენტინის გამოცდილება იმის მაგალითია, თუ რა ძვირად შეიძლება დაუჯდეს სახელმწიფოს ამ საკითხების გადაჭრის დაყოვნება. ბოლივიისა და ნაწილობრივ პორტუგალიის გამოცდილება კი ამგვარი პრობლემების მოგვარებისა და იმავდროულად კონსოლიდაციის გზაზე წინსვლის მოწმობაა. გაცილებით უფრო რთულია ზოგიერთი აღმოსავლეთევროპული ქვეყნის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა. აქ ცარიელ ადგილას მრავალი ისეთი ინსტიტუტია აღმოსაცენებელი, როგორიცაა ფასწარმოება, კრედიტი, მონეტარული პოლიტიკა, შრომითი დისკუსია, მომხმარებლების უფლებათა დაცვა და ა.შ. – თანაც ეს ყველაფერი საკვანძო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პარალელურად უნდა მოხდეს. პირველი პროექტი უცხოურ მოდელებსა და რჩევებზეა ხშირად დამოკიდებული, ბოლო კი ალბათ შეიძლება მოულოდნელ დამთხვევებსა და გაუთვალისწინებელ ჯვარედინ გავლენებს დაუკავშირდეს.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთქმედება („აუცილებელი პირობა, რომლის მოდიფიკაცია აუცილებელია“) სტრუქტურული ხასიათისაა. ის სათავეს შემდეგი ძირეული სხვაობიდან იღებს: სახელმწიფო შედარებით თანაბრად ავრცელებს თავის ძალაუფლებასა და მდგომარეობას, ხოლო ეკონომიკა

უთანაბროდ ანაწილებს შემოსავლებს და სწორედ ამით, თავად ეკონომიკური სისტემის წარმატებულობისგან დამოუკიდებლად, წარმოშობს კიდეც ახალ დილემას.

მაგრამ რა საკამათოა, რომ ეკონომიკური კრიზისები, საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის, ვალის გადახდისა და დასაქმების პრობლემები უარყოფითად აისახება დემოკრატიული მმართველობის კონსოლიდაციაზე. პოლიტიკური სტაბილურობისთვის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობა უდავოა. თუმცა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმაც შეიძლება პარადოქსული ფორმით შეუწყოს ხელი დემოკრატიის გამძლეობასა და სიცოცხლის შენარჩუნებას. 80-ანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დამდეგს რთული ეკონომიკური პირობების კონტექსტში უტოპიურმა იდეოლოგიებმა და მათთან დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა რეცეპტებმა თავიანთი უნაყოფობა მტკივნეულად გამოააშკარავეს. ცხადი გახდა, რომ არც უკიდურეს მემარჯვენეებს და არც უკიდურეს მემარცხენეებს შესაბამისი და გამოსადეგი ალტერნატივის შემოთავაზების უნარი არ შესწევდათ. პოპულიზმი, რომელსაც დემოკრატიზაციის პროცესით გამოწვეული იმედგაცრუება კვებავს, მუდამ არსებობს, მაგრამ წარსულისგან განსხვავებით მას ახლა უკვე აღარ შეუძლია მყისიერად მოხიბლოს მასები.

იმ სიტუაციაში, როცა დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული მავნებლური საქმიანობისთვის ჯილდოს მიღების მოლოდინი ქრება, იზრდება დემოკრატიის შენარჩუნების შანსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წესებისა და ინსტიტუტების თაობაზე პოლემიკას უკვე ხელსაყრელი ნიადაგი აქვს შემზადებული არამარტო სიმდიდრის, არამედ სიღატაკის პირობებშიაც. მაგრამ პირობები შეიძლება გაუარესდეს, თუ ეკონომიკა მკვეთრი დაჩქარებისა და შენელების ეტაპების გავლისას კრუნხჩვებში ჩავარდება, უეცრად გადაიტვირთება ან, პირიქით, დეფიციტური გახდება.

ჰttპ://წ წ წ.ფცებლოგ.ცომ /ნოდეს/8ჰ-ფილიფ-კ-შმიტერი-დილემები-და-საფრთხეები-III#comment-130247340371825

ფილიფ კ. შმიტერი. დემოკრატიის დილემები და საფრთხეები (III)

ბყ ჟურნალი "სოლიდარობა" ონ ონდყ, ჟანუარუ 3, 2011 აგ4:49ამ

III

გადატვირთვა და უმართაობა

დემოკრატია ანარქია რომ არ არის, ეს ვიცით. დემოკრატიებს მართვა, ცალკეული მოქალაქეების ქცევის შესაცვლელად ძალაუფლების გამოყენება და ბაზრისა და ფირმების საქმიანობის რეგულირება უნდა შეეძლოთ. განმტკიცებულ დემოკრატიებში დღემდე ერთ მუდმივ გამოცანად მოქალაქეთა კანონმორჩილების წყარო რჩება: საერთოდ, რატომ ემორჩილებიან ისინი კანონს და თავიანთი მიზნების მიღწევას მხოლოდ კანონიერი ინსტიტუციონალური არხებით ცდილობენ მაშინაც კი, როცა თავისუფლად შეუძლიათ დაუსჯელად უფრო მეტი მოიპოვონ, თუკი კანონს გადავლენ? პოლიტოლოგები ამას ჩვეულებრივ ისეთი აბსტრაქტული ცნებებით ხსნიან, როგორიცაა "ტრადიცია", "ინსტიტუტებისადმი ნდობა", "სოციალიზაცია" და, რა თქმა უნდა, "ლეგიტიმურობა". სამწუხაროდ, ისინი ამ მოვლენის დეტალურ განმარტებას იშვიათად გვთავაზობენ და უმთავრესად წესების დაცვის ტრადიციის ეტაპობრივ განვითარებასა და განათლების სისტემის მეშვეობით ნორმების უშუალო გათავისებაზე მიუთითებენ. ოღონდ საეჭვოა, რომ ამგვარმა ანალიზმა ანუგეშოს ისინი, ვისაც მოკლე დროში დემოკრატიის კონსოლიდაციაზე ზრუნვა უწევს.

უფრო მეტიც, ხნიერი დემოკრატიების გამოცდილება, არჩევნებსა და ქუჩაში მოქალქეების ქცევის შესახებ სოციოლოგიური კვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გვიჩვენებს, რომ ტრადიციის ერთგულება, თვითშეზღუდვის ჩვევები, ინსტიტუტებისადმი ნდობა და მმართველთა ლეგიტიმურობის რწმენა შესამჩნევად ქვეითდება. სოციოლოგიური ანალიზი ამ გრადაციის განმაპირობებელ მრავალ მიზეზს ასახელებს (თუმცა საკითხი ამოწურული არ არის): უფრო დიდი ფიზიკური მობილობა, განათლების საერთო დონის ამაღლება, მეტი თავისუფალი დრო, ინტელექტუალთა უკმაყოფილობის ზრდა და ა.შ.

მრავალი ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს პრობლემაც სწორედ ისაა, რომ მისი მოსახლეობა ხშირად ამავე ტენდენციას არის დამორჩილებული. აქედან გამომდინარე, ხალხი უფრო მეტად მობილური, განათლებული, განხიბლული და, რა თქმა უნდა, სკეპტიკურია, ვიდრე ძველი დემოკრატიების მოქალაქეები იყვნენ იმ დროს, როცა ეს ქვეყნები პოლიტიკური განვითარების ადრეულ სატადიაზე იმყოფებოდნენ. განსაკუთრებთ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ ადამიანებს გაცილებით სწრაფ და სანდო ინფორმაციას აწვდიან. ეს განაპირობებს იმასაც, რომ პოლიტიკური პარტია, როგორც სახელმწიფოსთან სპეციალური შუამავალი და მმართველების ლეგიტიმურის პირველადი

წყარო, შედარებით უფრო ნაკლებად იქცევს ყურადღებას. პარტიის ადგილს ინტერესთა ჯგუფები, ხოლო ბოლო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური მოძრაობები იკავებენ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ კლასების, პროფესიული ჯგუფების, თაობების, რელიგიური და ეთნიკური თემებისა და მოსახლეობის იმ სეგმენტების მოთხოვნათა გამოსახატავად, რომელთა რაოდენობრივი შემადგენლობა პარტიების შექმნას ან მათში დომინირებას გამორიცხავს.

ამიტომ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები ინსტიტუტების ასაშენებლად ლეგიტიმურობას, ხოლო ლეგიტიმურობის მისაღწევად ინსტიტუტებს საჭიროებენ. წარმატება მრავალ ფაქტორზე, განსაკუთრებით, გარდამავალი პერიოდის განხორციელების მეთოდსა და დემოკრატიის ადრინდელი გამოცდილების არსებობაზე იქნება დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების უმრავლესობაში არსებობენ ადამიანთა შედარებით გამოცდილი და კარგად ინფორმირებული ჯგუფები, მიუხედავად იმისა, რომ მოიძებნებიან პროფესიონალი ორგანიზატორებიც, ალბათ ისევ პოლიტიკური პარტიები შეასრულებენ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ძირითადი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას. ამიტომ წესებისა და ინსტიტუტების შერჩევა პოლიტიკური პარტიების ლიდერთა კონტაქტს მოითხოვს. როგორც ჩანს, ახალი პარტიული სისტემის არსი გახდება დემოკრატიზაციის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები ვეღარ გაიმეორებენ წინამორბედი დემოკრატიების გზას, რადგან მათ უკვე მოუწევთ საქმის დაჭერა ასოციაციებისა და მოძრაობების მთელ თანავარსკვლავედთან, მოუწევთ საერთო ენის გამონახვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დახუნძლულ, ურბანიზებულ, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებასთან.

კორუფცია და დეგრადირება

ერთი შეხედვით (მეტადრე, თუ დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მიმდინარე ბოლო მოვლენებს გავითლისწინებთ) ეს შიდა დილემაა. ყველა, როგორც ძველი, ისე ახალი დემოკრატია ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და საზოგადოებრივი სიკეთეების მითვისების სნეულებისკენაა მიდრეკილი. ეს ის ბოროტებაა, რომელსაც დემოკრატიებში მოქალაქეებისთვის მინიჭებული პერიოდული შესაძლებლობა აკავებს - უფლება, მივიდნენ საარჩევნო ყუთთან და "გაყარონ გარეწრები". მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების კრიტერიუმები განსხვავებულ კულტურებში მეტ-ნაკლებად მსგავსია, მისი მასშტაბები, როგორც ჩანს, მაინც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მსხვილია გამდიდრების

ლეგიტიმური წყაროები, რომლებსაც კაპიტალიზმი გვთავაზობს. ასე რომ, კორუფციისა და დეგრადირების სფეროში დემოკრატიები მთლიანობაში მაინც გვარიანად ჩამოუვარდებიან ავტოკრატიებს.

პოლიტიკის პროფესიონალიზაცია პრობლემის გარე დილემად გადაქცევის უმთავრესი მიზეზია. იმ დროს, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკით ძირითადად მდიდარი წრეებიდან მოსული ადამიანები იყვნენ დაკავებული, ხოლო პოლიტიკოსობასაც ერთგვარი სამოყვარულო ხასიათი ჰქონდა, არჩევითი თანამდებობები, ჩვეულებრივ, არ ფინანსდებოდა. როცა ეს მოყვარული პოლიტიკოსები თანამდებობებს ტოვებდნენ, კერძო ცხოვრებას უბრუნდებოდნენ და შედეგად თავიანთთვის უფრო მეტ სარგებელსაც პოულობდნენ ხოლმე. ვითარება მეოცე საუკუნის დამდეგს სოციალისტური პარტიების გამოჩენამ შეცვალა. დღესდღეობით კი პოლიტიკურ თანამდებობებზე არჩეული პირები, იმის მიუხედავად, რომ შემოსავლის სხვა ოფიციალური წყარო მათ, უბრალოდ, არ გააჩნიათ, მარტო მაღალი ანაზღაურების იმედად აღარ რჩებიან. თუ წინასაარჩევნო ხარჯების გამუდმებულ ზრდასა და საკუთარი ამომრჩევლის მომსახურებისთვის აუცილებელ საჭიროებებსაც გავითვალისწინებთ, დემოკრატიული პოლიტიკის საწარმოებლად საკმარისი საფასურის პრობლემა კიდევ უფრო მძაფრად დადგება.

რას იხდიან მოქალაქეები დემოკრატიაში? როდის ქმნის დემოკრატიის "პოლიტიკური ეკონომია" ლეგიტიმაციის განლევის ან, უარეს შემთხვევაში, მისი შენარჩუნების საფრთხეს? ზოგიერთი, შედარებით უფრო ძველი დემოკრატიული ტრადიციის ქვეყანა - იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი - დღესდღეობით ამ ტიპის პრობლემების წინაშე დგას. სხვებს წარსულში მოუწიათ კორუფციულ სკანდალებთან გამკლავება. ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ძველი რეჟიმის დეგრადაციის შედეგად, სამოქალაქო ენთუზიაზმისა და კორუფციით აღშფოთების ტალღაზე წარმოიქმნება. ასე რომ, ეს დილემა მათთვის ოდნავ მოგვიანებით ჩნდება ხოლმე, მაგრამ შედეგი აქ შესაძლოა განსაკუთრებით დამანგრეველი გამოდგეს, ვინაიდან პოლიტიკოსებს საიმედო ალტერნატიული შემოსავლის წყაროების მოპოვების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ხოლო მოქალაქეები, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად არიან დაეჭვებულნი თავიანთი რჩეულების გულუხვი დაფინანსების აუცილებლობაში.

ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებში რეჟიმის ცვლილებას ხშირად თან სდევს მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების ერთდროული აუცილებლობაც (საკუთრების უფლებები, საწარმოო სუბსიდიები, ფასებზე კონტროლი, პრივატიზაცია, ეკონომიკის

სფეროში სახელმწიფო კონტროლის შესუსტება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სერვისის ლიცენზირება და ა.შ.). ამ საქმის "საბაზრო ძალების გათავისუფლების" ლოზუნგით წარმართვის შემთხვევაშიც კი თავად რეალიზაციის პროცესი პოლიტიკოსებს, რომლებიც ნორმებს ადგენენ, წარმოებებს ყიდიან და კონტრაქტებს არიგებენ, უკანონო გამდიდრების ცდუნებას უჩენს. პარადოქსია, მაგრამ ამ გზით გამდიდრების ტენდენცია იზრდება.

თანამედროვე დემოკრატიამ, კერძოდ, პროფესიონალიზაციასა და პოლიტიკური ამოცანების გაფართოებასთან დაკავშირებულმა მისმა პრაქტიკამ, ჯერაც ვერ შეძლო "პოლიტიკურ ეკონომიასთან" შეთანხმების მიღწევა. თავისთავად ცხადია, რომ დემოკრატიულად განწყობილი ადამიანები ბნელით მოცულ და აუგ საქმედ მიიჩნევენ პარტიების დაფინანსებას, დეპუტატების წახალისებას, მომსახურებისა და სამთავრობო კონტრაქტების სანაცვლოდ პოლიტიკოსების გამდიდრებას. ამიტომ მეტის-მეტად აღარც ის ფაქტი უნდა გვიკვირდეს, რომ მოაქლაქეებს მათთვის ყველაზე სასურველ რეჟიმშიც კი აღარ სურთ იხადონ ფული.

საგარეო უსაფრთხოება და შიდა აშლილობები

დემოკრატიის მოსვლა არ იძლევა ნაციონალური უსაფრთხოების გარანტიას. ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ქვეყნის სიდიდე, მისი რესურსების მარაგი, სტრატეგიული მდებარეობა და მეზობლები, კიდევ უფრო მეტად შეიძლება გააღრმაონ პრობლემა. დემოკრატიის გზაზე შემდგარ სახელმწიფოებს შეუძლიათ აგრესორები მოიზიდონ, როგორც ამას ბოსნიის ტრაგიკული მაგალითი გვიჩვენებს, მაგრამ მათ რეგიონული და გლობალური სოლიდარობის იმედიც უნდა ჰქონდეთ, როგორც ეს მაკედონიაში მოხდა, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის გადაწყვეტილებით 1100 უცხოელი ჯარისკაცი იყო მივლენილი მისი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

მეტსაც ვიტყვი: თითქმის ყველა ქვეყანაში დემოკრატიაზე გადასვლის დროს შიდა წინააღმდეგობები მწვავდებოდა: მატულობდა დამნაშავეობისა და პოლიტიკური ძალადობის პროცენტი, იზრდებოდა სამართალდამცავთა მიერ კანონდარღვევების რაოდენობა. ზოგიერთ შემთხვევაში დისიდენტები ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესაცვლელად ტერორს მიმართავდნენ (მაგალითად, ბასკების ორგანიზაცია ეტა), ზოგს კაპიტალიზმის წყვეტა სურდა გამოეწვია (მაგალითად, სენდერო ლუმინოსს – პერუში), ზოგიც, უბრალოდ, ცდილობდა ქვეყანაში ავტოკრატია დაებრუნებინა (მაგალითად, "კარაპინტადად" წოდებულ ოფიცრების ჯგუფს –არგენტინაში).

ამ დილემას საფუძვლად უდევს სამოქალაქოების, სამხედროების, სამართალდამცავების ურთიერთმიმართების საკმაოდ რთული პრობლემა. დილემა განსაკუთრებულ სიმძაფრეს მაშინ იძენს, თუ წინამორბედი რეჟიმი სამხედრო დიქტატურას წარმოადგენდა. გარდამავალმა მთავრობამ, სამხედროებისგან ხელისუფლების გაწმენდის პარალელურად, უნდა გამონახოს გზა, რომ მათ დემოკრატიაში ისეთი როლიც დააკისროს, რომელიც საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. წარსულში ეს რთული არ იყო, რადგან კომუნისტური საფრთხე საფუძველს იძლეოდა თავდაცვის ავტონომიური ნაციონალური შესაძლებლობის შესანარჩუნებლად. კომუნიზმის დამხობამ და შიდა შეიარაღებულ აჯანყებათა უმრავლესობის მარცხმა მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში "ფუნქციონალური ვაკუუმი" შექმნა. 70-იან წლებში სამხრეთი ევროპის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების შეიარაღებული ძალებისთვის ნატოს წევრობა საკმარისი იყო **რძინ დ,ჯუს**-ის უზრუნველსაყოფად (და არსებითი სამხედრო დახმარების მისაღებად). სხვაგან კი, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, გაცილებით უფრო დიდი წარმოსახვის უნარია საჭირო, რომ არმიების არსებობა გაამართლო.

სამოქალაქო მთავრობა იმ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც, სადაც არც საზღვრის მიმდებარე კონფლიქტებია და არც შიდა აჯანყებები, ამა თუ იმ ჯგუფის მოთხოვნათა გამო მაინც წინააღმდეგობებშია გახლართული. მაშინ, როცა ამ მთავრობებისგან ნეოლიბერალური სტრუქტურები საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცასა და სახელმწიფო ქონების (რომლის განმკარგველები ხშირად სამხედროები არიან) პრივატიზაციას მოითხოვენ, შეიარაღებული ძალები, როგორც ჩანს, ყველაზე ხელსაყრელი სამიზნე ხდება შემცირებათა განსახორციელებლად.

ალბათ არ უნდა განსაჯო მოქალაქეები, როცა ისინი სამხედრო ხარჯების შემცირებას მოითხოვენ, რაკი დარწმუნებულნი არიან, რომ შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი ზედმეტად გაბერილი იყო წინამორბედი დიქტატურის დროს, თანაც ახლა ახალ ამოცანებზე გადასვლამ შესაძლოა დროებით დამატებითი დაფინანსება მოითხოვოს. ეს ამოცანები კი (ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტთან, დანაშაულებრივ სამყაროსთან, სოციალურ გამოწვევებთან შეჭიდება, ინფრასტრუქტურის შექმნა, ღარიბი რაიონების სამედიცინო და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა, გაეროს ან რეგიონული ეგიდით სამშვიდობო ძალებში მონაწილეობა) ყოველთვის ახალ რისკთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი სამოქალაქო მთავრობა სამხედრო მოსამსახურეებს პრობლემების გადაჭ-

რის პროცესში რთავს. სხვები იმასაც კი მიუღებლად მიიჩნევენ, რომ არმიამ თავისი ჩვეული ფუნქცია შეასრულოს. მაგრამ არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში არ მოგვეპოვება საკმარისი საფუძველი, რომ სამხედრო ხარჯებისა და არმიის რაოდენობრივი შემადგენლობის მანამდე არსებული დონე იყოს შენარჩუნებული.

პოლიციაზე მეთვალყურეობის დაწესებაც დელიკატური არჩევანის სფეროა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მანამდე მას სამხედროები ან სპეციალური სამსახურები აკონტროლებდნენ. ერთი მხრივ, პოლიციის როლი დამნაშავეობის შესაძლო ზრდასთან ერთად იზრდება, მეორე მხრივ, კი საზოგადოება უფრო და უფრო აქტიურად მოითხოვს, რომ პოლიციამ პატივი სცეს კანონს და ადამიანის უფლებებს. ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობისადმი ნდობას პოლიციისა და მოსახლეობის ურთიერთობის მოუგვარებლობაზე მეტად ვერაფერი დასცემს. სწორედ ეს არის სფერო, სადაც სამოქალაქო კონტროლის დაწესებას და მის მიმართ ზომიერ, მაგრამ მყარ ნდობას დიდი სიმბოლური წარმატების მოტანა შეუძლია (როგორც ეს ესპანეთში მოხდა). ამგვარი კონტროლის არარსებობა კი ნიადაგს აცლის არამარტო რეჟიმის ლეგიტიმაციას, არამედ მთლიანად სახელმწიფოს ავტორიტეტსაც ანადგურებს.

ყველა გარე დილემის დაძლევის შესაძლებლობის მსგავსად, გრძელვადიან პერსპექტივებსაც სასიკეთო პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში უჩანს, თუ ახალი დემოკრატიები გარდამავალ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული არჩევანის (ან არჩევანის უარყოფის) უახლოეს შედეგებს გაუმკლავდებიან. დროთა განმავლობაში კონსოლიდაციის პროცესი დასრულდება და სამოქალაქო პირებსა და პოლიციას შორის ურთიერთობა ინსტიტუციონალურ სახეს მიიღებს, ადამიანის უფლებათა გარანტიები განმტკიცდება, სტაბილური გახდება ან გაიზრდება უსაფრთხოება, მოვა ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების გრძნობით იქნება განმსჭვალული, ეს კი არამარტო მოცემულ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს მოუტანს სიკეთეს საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ურთიერთობების არცთუ მრავალი "ინვარიანტული კანონიდან" ერთ-ერთი აცხადებს, რომ დემოკრატიები არ ეომებიან სხვა დემოკრატიებს. ავტოკრატიები კი ხშირად როგორც ერთმანეთს, ასევე დემოკრატიებსაც უცხადებენ ომს. ხოლო ის რეგიონი, სადაც დემოკრატია ბატონობს, გაცილებით უფრო უსაფრთხო ხდება და ძალადობისკენ ნაკლებად არის მიდრეკილი. ამ რეგიონის ქვეყნებს შორის სადავო საკითხების ბოლომდე გადაწყვეტა შესაძლოა ვერც მოხერხდეს, მაგრამ უფრო მეტადაა შესაძლებელი, რომ ისინი მოლაპარაკების, შუამავალთა დახმა-

რებისა და არბიტრაჟის საშუალებით შეეცდებიან დავის მოგვარებას. იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიზებული რეგიონი ნებისმიერ თავის წევრს ხელს უშლის ავტოკრატიისკენ გადაიხაროს, იგი (ეს რეგიონი) შეძლებდა "უსაფრთხოების თანამეგობრობად" თვითორგანიზებას, რომელშიც, უბრალოდ, შეუძლებელი გახდებოდა ომით ან სამხედრო კონფლიქტის გზით რაიმეს მიღწევა. ეს, ერთი მხრივ, სამოქალაქო მთავრობის ავტორიტეტს განამტკიცებდა და, მეორე მხრივ, ალბათ სამხედრო ხარჯებისა და არმიის თანდათანობით შემცირებას შეუწყობდა ხელს.

მოთმინება და განხიბლვა

წინამდებარე ნარკვევი წარმოაჩენს, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს, რათა თანამედროვე დემოკრატიზაციის პროცესმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით არ მოგვიცვას. ისტორია გვიჩვენებს, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ შეძლო პირველივე ცდაზე დემოკრატიის კონსოლიდაცია. რეჟიმის რეფორმირების პირველი ტალღები ადრე თუ გვიან უკან მიიქცევა. მეტისმეტად სარისკოა იწინასწარმეტყველო ამჯერად რომელი ქვეყნები დაიწყებენ უკუსვლას ავტოკრატიისკენ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოები, რომლებმაც დღემდე ვერ მოახერხეს ნაციონალური იდენტობის შეცნობა და ტერიტორიული საზღვრების გამორკვევა, სხვა სფეროებში ძნელად თუ შეძლებენ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას. მეტიც, ახალი დემოკრატიების უმრავლესობა აწყდება პრობლემების მთელ წყებას, – ესენია: ეკონომიკური კრიზისი, ინფლაციის მკვეთრი ზრდა, საგარეო ვალის მძიმე ტვირთი, საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში წარმოშობილი სიძნელეები, საერთაშორისო კონკურენციის ზეწოლა და ახალ გლობალურ ეკონომიკაში კაპიტალის გაწოვით გამოწვეული სირთულეები. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უნდა ითქვას: ამ ფონზე კაპიტალისტურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული ფუნდამენტური სტრუქტურული დილემების გადაწყვეტა ნამდვილად არ არის იოლი.

ყველაზე მეტად ისევ ის ფაქტი იწვევს გაოცებას, რომ მოქალაქეები აქამდე არ რეაგირებდნენ ინსტიტუციური არჩევანისა და გარდამავალი პერიოდის სირთულეებზე. ისინი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მთავრობების და არა დემოკრატიის მიმართ. ისინი მძიმედ ეგუებოდნენ არჩევნებში გარდამავალი დროის ლიდერების გამარჯვებას, მაგრამ ავტორიტარიზმთან დაბრუნებას უკიდურესად იშვიათად ემხრობოდნენ. მათი ასეთი არაჩვეულებრივი მოთმინების უნარის მიუხედავად, ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად ჩნდება იმის ნიშნები, რასაც ესპანელები "ლსენცატ"-ს (უშუალოდ დემოკრატიით იმედგაცრუებას) უწოდებენ. ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ კორუფცია გაღრმავდა, რომ სა-

ხელმწიფომ რღვევა მანამდე დაიწყო, სანამ კონსოლიდაციის პროცესს შეუდგებოდა. მეტისმეტად ხშირად ისმის საჩივარები, რომ პროფესიონალი პოლიტიკოსები არაპროპორციულად მაღალ ხელფასსა და ბევრ პრივილეგიას ინიშნავენ; პოლიტიკური პარტიები ფარულად მდიდრდებიან; პრივილეგირებული ჯგუფები გვერდს უვლიან კანონებს; ღრმად დამალული ძველი ძალები კი, მაგალითად, სამხედროები, ბიუჯეტში თავიანთი წილის მარტო შენარჩუნებას კი არა, გაზრდასაც ახერხებენ; რომ დანაშაულმა იმატა და პოლიცია ძველებურად ფეხით თელავს ადამიანის უფლებებს; რომ უსამართლოდ იკრიბება და ნაწილდება გადასახადები; რომ "ბინძური უმცირესობები" ან უცხოელები პრივატიზაციისა და სახელმწიფო კონტროლის შესუსტების წყალობით განსაკუთრებით დიდ სარგებელს პოულობენ. ამგვარი ჩივილები იმას ნიშნავს, რომ გარე დილემების გადაჭრა ვერ მოხერხდა.

მაგრამ ეკონომიკურ უწესრიგობასა და პოლიტიკურ განხიბლვასთან დაკავშირებული პრობლემები თითქმის მთლიანად იჩრდილება, როცა კულტურულ კონფლიქტებთან გვაქვს საქმე. ავტოკრატიები ჩვეულებრივ თრგუნავენ ეთნოლინგვისტურ უმცირესობებს ან მანიპულირებენ მათი მეშვეობით. შედეგად, დაბადების პროცესში მყოფ დემოკრატიებს ურთიერთგაუცხოება და ყველა ცრურწმენა მემკვიდრეობად ერგებათ. სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში ეროვნული საზღვრები და ნაციონალური თვითშეგნება უკვე დიდი ხანია დადგინილია და შესაბამისად ნაციონალური უმცირესობების მოთხოვნები, როგორც აღმოჩნდა, შედარებით იოლი დასაკმაყოფილებელი გახდა ტერიტორიული დათმობების პოლიტიკის საფუძველზე. ესპანეთის ბასკების შემთხვევაში ეს შედეგი მხოლოდ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომებით იქნა მიღწეული. სამხრეთ ევროპასა და აფრიკაში, სადაც ისტორიული ცრურწმენები გაცილებით ღრმად არის ფესვგადგმული, ხოლო არსებული პოლიტიკური საზღვრები ხშირად ხალხთა გამყოფია და არა დამაკავშირებელი, ფეთქებადსაშიშ ეთნოლინგვისტურ თემებს იოლად შეუძლია ჩვეულებრივი სოციალური წინააღმდეგობები გადაფაროს – გადაწონოს ყველაფერი ის, რაც სტაბილურ პარტიებად და ინტერესთა ჯგუფებად დაყოფას უდევს საფუძვლად.

ვარაუდი, რომ ავტოკრატიული რეგრესია წარსულთან შედარებით რეჟიმების ცვლის ახლანდელი ტალღის იშვიათი თანმდევი იქნება, მეტისმეტად სუსტი ნუგეშია მათთვის, ვინც დღესდღეობით ახალი დემოკრატიების კონსოლიდირებას ცდილობს. მათ ერთიმეორის მიყოლებით მოუწევთ უმძიმესი დილემების გადაჭრა და არა ერთი და ორი უმძიმესი არჩევანის გაკეთება იქამდე, სანამ მათი ქვეყნები პოლიტიკური თანამ-

შრომლობისა და კონკურენციის იმ ნორმას მიაღწევენ, რომელიც დემოკ-
რატიული მმართველობის სიმტკიცეს უზრუნველყოფს.

1993 წ.

ჰტტპ://წ წ წ .ფაცებოოკ.�om /ნოტეს/ზჰურნალ-სოლარუნა/ლემ ოკრატს-დიუმ ები
ლ-საპრეზიჰებიოოპოლ-კ-სჰმ ოტერ/130247887038437

ფილიპ კ. შმიტერი. ოცდახუთწლიანი კვლევა, თხუთმეტი შედეგი (I)

ფილიპ კ. შმიტერი იტალიის ქალაქ ფლორენციის ევროპული უნივ-
ერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის ემერიტუს-პროფესორია. 2009 წელს
მას მიენიჭა უპსალის უნივერსიტეტის იოჰან სკიტის სახელობის პრემია
ნაშრომისთვის შედარებითი პოლიტიკურ მეცნიერებისა და დემოკრატი-
ზაციის საკითხების შესწავლის დარგში, აგრეთვე "მატეი დოგანის პრემია
მთელი ცხოვრების მიღწევებისთვის" პოლიტიკური მეცნიერებების საერ-
თაშორისო ასოციაციის მიერ.

როცა გილერმო ო'დონელი და მე მეოთხედი საუკუნის წინ ვწერ-
დით ჩვენს ნაშრომს "ავტორიტარული მმართველობიდან ტრანზიცია:
წინასწარი დასკვნები მყიფე დემოკრატიების შესახებ", ჩვენ ხელთ გვქონ-
და რამდენიმე შესაფერი მაგალითი, მაგრამ თითქმის არ მოიპოვებოდა
ლიტერატურა ამ თემაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა.
ჩვენ მთლიანად გადავჩხრიკეთ იმ ჩვენი კოლეგების მონოგრაფიები,
რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვუდრო უილსონის ცენტრის იმავე
პროექტში, რომლის მონაწილენი ჩვენც ვიყავით. მივუბრუნდით პოლი-
ტიკური აზროვნების კლასიკოსებსაც. პირადად ჩემთვის განსაკუთრებუ-
ლი შთაგონების მომცემი აღმოჩნდა ნიკოლო მაკიაველის ნაშრომები, რო-
მელიც, როგორც ჩემთვის აღმოვაჩინე, თავის დროზე შეჯახებია რეჟიმის
ცვლილებას საპირისპირო მიმართულებით, ანუ "რესპუბლიკურიდან"
"მონარქიული" მმართველობისკენ.

ვერც ერთ ჩვენგანს ვერ წარმოედგინა, რომ იმ გაუბედავ პირველ
ნაბიჯებს, რომლებსაც სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში მაშინ
ვაკვირდებოდით, მალე მოჰყვებოდა რეჟიმების შეცვლა მსოფლიოს ორ-
მოცდაათზე მეტ სხვა ქვეყანაში. ამ "ღვთიურმა სასწაულებმა", განსაკუთ-
რებით შუა და აღმოსავლეთი ევროპის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის

ქვეყნებში, მოიტანა არა მხოლოდ მრავალი შესაძლებლობა მეცნიერული კვლევისთვის, გამოიწვია ნორმალური პირადი კმაყოფილება, არამედ გაიჩინა მთავარი პროფესიული რისკიც. რა ზომით შეიძლება ის ვარაუდები, იდეები, ჰიპოთეზები და "წინასწარი დასკვნები", რომლებიც ადრინდელი მაგალითების შესწავლის საფუძველზე გაგვიჩნდა, გავრცელებულიყო და მორგებოდა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და განსხვავებული ქვეყნების მაგალითებს? გავრცელება, რომელსაც ჩვენ ვვარაუდობდით, კიდევ უფრო მეტად პრობლემური ჩანდა იმ ჭრილში, თუ რამდენად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი მოსაზრებები უკვე დამკვიდრებულ, გაბატონებულ თეორიებს "ჭეშმარიტად არსებული დემოკრატიების შესახებ".

ჩვენ, მაგალითად, დაბეჯითებით ვმიჯნავდით ერთმანეთისგან ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციას. ჩვენ არ ვიზიარებდით იმ მოსაზრებას, რომ დემოკრატიას ესაჭიროება ეკონომიკური და კულტურული წინაპირობების დადგენილი ნაკრები. ჩვენ ხაზს ვუსვამდით ტრანზიციისას სახელისუფლო ელიტის ურთიერთქმედებისა და სტრატეგიული არჩევანის საკვანძო როლს და უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ვანიჭებდით მასების მოძრაობას (მობილიზაციას) ქვედა საფეხურზე. ჩვენ ვსაუბრობდით არჩევნების პროცესის მადემობილიზირებელ ეფექტზე და აღვნიშნეთ, რომ, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებას შეიძლებოდა მნიშვნელოვანი როლი დაკისრებოდა, მისი გავლენა ხანმოკლე აღმოჩნდებოდა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ტრანზიციების უმრავლესობა დაიწყო წინა ავტოკრატიული რეჟიმის პირობებში, რომლის რღვევას თუ თვითტრანსფორმაციას გარანტირებულად არ მივყავდით დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენი ბოლო და, შესაძლოა, ყველაზე უფრო ძირგამომთხრელი დებულება კი ის იყო, რომ შესაძლებელია (თუ ყოველთვის მოსალოდნელი არა) დემოკრატიის განხორციელება ისე, დემოკრატები რომც არ გყავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "სამოქალაქო კულტურის" მიმზიდველი კულტურული და ნორმატიული ნიშანთვისებები, რომლებიც შედარებითი დაკვირვების კვლევამ გამოავლინა და ყველა სტაბილური დემოკრატიისთვის არსებითად მიიჩნია, უფრო დემოკრატიის ქმნილებად იქნა გააზრებული, ვიდრე მის შემქმნელად.

როგორც კომპარატივისტი, მე მივესალმე ჩვენი ორიგინალური ნაშრომის "გავრცელებისა" და მისი ამგვარი განსხვავებული შემთხვევებისადმი მისადაგების ამოცანას. კმაყოფილებას მგვრიდა იმაზე დაკვირვება, თუ რაოდენ ხშირად, რაოდენ შორს და რაოდენ წინააღმდეგობრივადაც კი იქნა გამოყენებული ეს "რეგიონთაშორისი" შედარებები, და დარწმუ-

ნებული ვარ, რომ მათ ხელი შეუწყეს დემოკრატიზაციის ცნების უფრო ფართო გაგებას. ის, რამაც ნაკლებად დამაკმაყოფილა, იყო ტენდენცია, რომ კრიტიკოსები და სხვა მკითხველები ჩვენს წიგნს იმ საკითხებს მიუსადაგებდნენ ხოლმე, რომლებიც აშკარად სცდებოდა მასში დაყენებული პრობლემატიკის წრეს. გილერმომ და მე ჩვენი ნაშრომის სათაური განზრახ იმგვარად შევარჩიეთ, რომ ხაზი გაგვესვა შემდეგი გარემოებისათვის: იგი შეეხებოდა უფრო მეტად ტრანზიციას ავტორიტარული მმართველობიდან, ვიდრე დემოკრატიისკენ. ამისდა მიუხედავად, ბევრი ადამიანი მიუდგა ჩვენს ოპუსს ისე, თითქოს ჩვენ იმაზე ვაცხადებდით პრეტენზიას, რომ წარმატების მაგიურ ფორმულას ვფლობდით, ან თითქოს მკითხველს ვთავაზობდით გაკვეთილებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია.

ჩვენ არა მარტო არ დაგვისახავს მიზნად, გამოგვეტანა ესოდენ ოპტიმისტური დასკვნები, არამედ ბევრად უფრო მეტად ვიხრებოდით იმ ვარაუდისკენ, რომ შესაძლებელია ავტოკრატიისკენ დაბრუნება. დასაშვებად მივიჩნევდით და არაერთგან გამოვთქვით კიდეც ვარაუდი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა გარდამავალ სიტუაციებში დევს იმის პოტენციალი, რომ დემოკრატია გაჩნდეს და დამკვიდრდეს, მაგრამ ჩვენ არაფერი დაგვიწერია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა სახის შედეგს უნდა მოველოდეთ. მას შემდეგ გილერმომ და მე ბევრი დავწერეთ ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ ჩვენი საერთო მცდელობის რეზულტატებიდან არცერთი არ იძლევა საფუძველს გამოტანილ იქნეს დასკვნა იმის შესახებ, თითქოს ვოლუნტარისტულ, სტრუქტურულად განუსაზღვრელ ქმედებებს კვლავაც წარმმართველი ადგილი ეკავოთ ახალი დემოკრატიების პოლიტიკაში, მას მერე, რაც ერთხელ გაივლიან დიდად გაურკვეველ გარდამავალ პერიოდს, ანდა სტრატეგიული მაქინაციები წარმმართველი ელიტის შიგნით უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებლად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე მასების მობილიზაცია და ხალხის თანამონაწილეობა.

ბევრი რამ მოხდა ბოლო ორი დეკადის განმავლობაში, რამაც მე ბევრი რამ მასწავლა; მათ შორის - დემოკრატული სწავლებების გაფართოებაც. “დემოკრატიის ჟურნალის” გამომცემლებმა მთხოვეს ეს რეტროსპექტული ცოდნა მათი მკითხველებისათვის გამეზიარებინა.

1. დადასტურდა, რომ დემოკრატიზაციის განხორციელება გაცილებით უფრო ადვილი მისაღწევია თანამედროვე ისტორიულ კონტექსტში, ვიდრე ეს თავდაპირველად წარმომედგინა. 1970-იან წლებში მე დაახლოებით გამოვითვალე, რომ მეოცე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული

ლათინური ამერიკის ქვეყნებში მარცხით მთავრდებოდა დემოკრატიზაციის განხორციელების ორი მცდელობა სამიდან, რასაც უცილობლად მოსდევდა ავტოკრატიული მმართველობის დაბრუნება (როგორც წესი, ძალადობრივი) დაახლოებით სამი-ხუთი წლის ვადით. ძალიან მტკივნეულად განვიცდი, როცა გვაბრალებენ ხოლმე, თითქოს მე და გილერმო, სამხრეთევროპული და ლათინურამერიკული მაგალითების შედარებისას ჩვენი პოზიციის გასამყარებლად ცალმხრივად ამოვკრებდით ხოლმე მარტივ შემთხვევებს, რის გამოც ვღებულობდით დამახინჯებულ სურათს წინასწარი დასკვნების გამოტანისას, როცა საქმე ეხებოდა უფრო რთულ სხვა შემთხვევებს. მსგავსი განზრახვა ოდანავადაც კი არ გამივლია გონებაში, მით უმეტეს, რომ ჩემი შესწავლის საგნად ავირჩიე 1974 წლის შემდეგ დაწყებული, უკიდურესად მღელვარე და არასტაბილური ტრანზიციის პროცესები პორტუგალიაში. სრულიადაც არ გახლავთ ჩვენი ბრალი ის, რომ არცერთ ჩვენგან ნახსენებ სამხრეთევროპულსა თუ ლათინურამერიკულ ქვეყანას დღემდე არ განუცდია ავტორიტარული რეჟიმისკენ უკან დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანამ მრავალი წელი დაჰყო გარდამავალ პერიოდში (ბრაზილიამ), ზოგან ბეწვზე ეკიდა ქვეყნის ბედი (პარაგვაი, პერუ), ზოგიერთ ქვეყანაში კი თავი იჩინა თანდათანობითი გაუარესების ნიშნებმა (ბოლივია, ეკვადორი, ნიკარაგუა).

დიდ გაკვირვებას იწვევს ის, რომ ძალიან ხშირად ავტორიტარიზმისკენ უკან მიბრუნება არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ბევრი იმ ფაქტორის ნაკლებობა, რომლებიც, საყოველთაო აღიარებით, სასიცოცხლოა (ან სასარგებლო მაინც) ლიბერალური დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის. დასაქმების დონე ან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები დემოკრატიის პირობებში ყოველთვის როდია უფრო მაღალი, ვიდრე ავტოკრატიული მმართველობის ანალოგიური მონაცემები; სოციალური თანასწორობისა და შემოსავლების განაწილების ხარისხი ყოველთვის არ იმატებდა შესამჩნევად; ხშირად ეცემოდა ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხიც. "სამოქალაქო კულტურის" კრიტიკულმა მაჩვენებლებმა დაბლა დაიწია და, მიუხედავად ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტები ადგილზე დარჩა.

და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავებაზე ტრანზიციის "მარტივ" და "რთულ" შემთხვევებს შორის მხოლოდ იმ ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება საუბარი, სადაც, რა მიზეზითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რეალური მცდელობა განხორციელდა დემოკრატიის მისაღწევად, რისი ნიშანიცაა თავისუფალი და სამართლიანი

“დამფუძნებელი არჩევნები” (ფუნდინგ ელექტიონს), კონკურენტი პარტიების მონაწილეობითა და არადეტერმინირებული შედეგით. ის შემთხვევები, როცა წინა ავტოკრატიული სახელისუფლო ელიტის წარმომადგენლები აკონტროლებენ პროცესს - თან, როგორც წესი, უშვებენ ლიბერალიზაციის გარკვეულ ხარისხს, რაც ტაქტიკაა დემოკრატიზაციის გავრცელების შესაკავებლად - მხედველობაში არ არის მისაღები. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსარიცხია შუა აზიის ყველა ქვეყნის მაგალითები, როცა განიხილება ტრანზიციის პროცესები მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, და ”ტრანზიციონოლოგებს”, რომლებიც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის შესწავლაზე სპეციალიზდებიან, საუბარი მხოლოდ თურქეთისა და, ამ ბოლო დროს, ლიბანის მაგალითებზე შეუძლიათ.

2. დემოკრატიზაცია უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, მაგრამ აგრეთვე - ნაკლებად შედეგიანი. აქამდე განხორციელებული დემოკრატიზაციის მცდელობათა შედეგების გააზრებისას, როგორც მეცნიერები, ისე აქტივისტებიც ერთნაირად მოელოდნენ, რომ ამგვარი ტრანსფორმაცია უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა ძალაუფლების სტრუქტურაში, ქონებრივ უფლებებში, პოლიტიკურ კურსში, ეკონომიკური თანასწორობისა და სოციალური სტატუსის თვალსაზრისით, ვიდრე რეალურად განხორციელდა აქამდე. ეს არ ნიშნავს იმის მტკიცებას, თითქოს “არაფერი შეცვლილიყოს”. გაიზარდა ადამიანის უფლებების პატივისცემა; უფრო ღირსეული გახდა მთავრობის მოპყრობა მოქალაქეთა მიმართ; ადამიანებს გაუჩნდათ უფრო მეტი პიროვნული თავისუფლების შეგრძნება, რასაც ისინი აფასებენ (ხშირად იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს ცვლილებები ერთბაშად “გაუფასურდება” ხოლმე). მაგრამ იმ ფაქტორებთან მიმართებით, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში გავლენის მოხდენა შეუძლიათ ძალაუფლების განაწილებასა და სახელმწიფოს მოწყობის საკითხებზე, ამ ბოლო დროინდელმა დემოკრატიზაციებმა გაცილებით ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს, ვიდრე მათ, რომლებიც უფრო შორეულ წარსულში განხორციელდა. ზოგიერთ შემთხვევებში - განსაკუთრებით ეს ეხება შუა და აღმოსავლეთი ევროპის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს - ახალგაზრდა დემოკრატიების ლიდერები ახლო კავშირში იმყოფებიან (თუ თავად არ არიან) იმ ადამიანებთან, რომლებიც ძველი ავტოკრატიული რეჟიმების სათავეში იდგნენ. სცადეთ წარმოიდგინოთ საფრანგეთი ან ახალგაზრდა შეერთებული შტატები შესაბამისი რევოლუციების შემდეგ, და მონარქიის დროინდელი ხელმძღვანელები, რომლებიც მშვიდად ბრუნდებიან ხელისუფლებაში ახალი რესპუბლიკის ახალი წყობისა და კანონების პირობებში!

რაც შეეხება უახლეს მაგალითებს, უნდა ითქვას, რომ, დროითი საზღვრები ამგვარი დასკვნების გამოსატანად საკმაოდ შემცირებულია და ტრანზიციის ტიპური მოდელი ძალიან იშვიათად იყო რევოლუციური. იმაში, რასაც მე და ტერი კარლმა "გარიგებული" (პაქტედ) ან "შემოღებული" (ფრო�ედ) ტრანზიცია ვუწოდეთ, დევს ყველა პირობა საიმისოდ, რომ ნაკლებად მნიშვნელოვან შედეგებს მოველოდეთ. ამგვარ პირობებში მეტად თუ ნაკლებად გამორიცხულია მთავარი და შეუქცევადი ცვლილებები რესურსების განაწილებაში, რაც გავლენად და ძალაუფლებად შეიძლება გარდაიქმნას. მხოლოდ მას მერე, რაც დასრულდება ტრანზიციული შეთანხმებები, ორმხრივი თანხმობისა თუ ერთ-ერთი პარტიის გადაწონვის საფუძველზე, შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ ბუნებრივი პოლიტიკური კონკურენციის შედეგად სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის დამკვიდრებამ შეიძლება რამდენიმე ასეთი ცვლილება წარმოშოს. შეიძლება ითქვას, რომ ახალი დემოკრატიები დროს ჭიმავენ კონსოლიდაციის მიზნით; მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გადანაწილების პროცესი კონკურენტული გარემოს გააქტიურების პასუხად.

3. დემოკრატიზაცია უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, სწორედ იმიტომ, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგების მქონე აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. ტრანზიციის საწყისს ეტაპზე არავის შეეძლო სცოდნოდა ეს, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ ვიცოდი. პორტუგალიური მაგალითი საპირისპიროს გვპირდებოდა. მხოლოდ მოგვიანებით დავრწმუნდი, თუ რაოდენ განსხვავებული იყო ეს შემთხვევა და როგორი ეფემერული - მისი შედეგები. ესპანეთისა და, შემდგომში, ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითებმა გვიჩვენა, რომ სოციალურად დომინანტურ და ეკონომიკურად პრივილეგირებულ ფენებს სინამდვილეში გაცილებით ნაკლები საფრთხე ემუქრებოდათ, ვიდრე ეს მათ თავდაპირველად წარმოედგინათ. მას მერე, რაც პორტუგალიის ამბები ჩაწყნარდა და კიდევ უფრო მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ პოლიტიკურ თავისუფლებებსა და გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებას შეიძლებოდა არც მოეტანა შედეგად უმრავლესობის ტირანია ან უმცირესობის რადიკალიზაცია. როტაცია ძალაუფლებაში არ ნიშნავდა იმას, რომ უნდა მომხდარიყო რყევები პოლიტიკაში ან გადახრები სარგებლის გადანაწილებაში. მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ გაკვეთილებიდან გამოტანილმა ცოდნამ ბეჭედი დაასვა დემოკრატიზაციის შეუქცევადობას ამ ქვეყნებში. ისინი, ვინც უწინ მხარს უმაგრებდნენ ავტოკრატიულ მმართველობას, თანდათან მიხვდნენ, რომ მათი

ინტერესები უფრო მეტად იქნებოდა დაცული დემოკრატიის პირობებში, ვიდრე ავტორიტარიზმის დროს იყო – და თან დამატებითი ფასის გადახდის გარეშეც, რაც შეიძლება გამოეწვია ამ უკანასკნელს ძალადობრივი დათრგუნვის, საერთაშორისო გაკიცხვის ან სხვა სანქციების სახით.

4. რეალურად არსებული დემოკრატია იმედგაცრუების მომტანი აღმოჩნდა როგორც სავარაუდო ბენეფიციარებისთვის, ისე ჩვენთვის, აკადემიური წრეებისთვის. ქვეყნებში, რომლებშიც განხორციელდა დემოკრატია 1974 წლის შემდეგ, გავრცელებული მოვლენაა განხიბლვა დემოკრატიის როგორც განხორციელების გზებით, ისე მიღებული შედეგებით. ანალიტიკოსები ერთმანეთს ეცილებიან ყველაზე უფრო დამაკნინებელი ზედსართავი სახელის მოძიებაში, რომელსაც სიტყვა "დემოკრატიის" წინ დააყენებდნენ: "არასრულფასოვანი", "არჩევითი", "ნაწილობრივი", "ფსევდო", "მოჩვენებითი", "სუროგატული" და, რა თქმა უნდა, "დელეგირებული" (delegated). ეს მცდელობა ავსებს ზოგად შთაბეჭდილებას – რაც დადასტურებულია გამოკითხვებით –, რომ გასული 25 წლის განმავლობაში რეჟიმების შეცვლამ უმრავლეს შემთხვევაში შედეგად მოიტანა დაბალი ხარისხის რეჟიმები, რაც არ ღირდა იმ ბრძოლად და მსხვერპლად, რის ფასადაც მოხდა მათი დამკვიდრება.

პირველი, რისი აღნიშვნაც აქ საჭიროა, არის ის, რომ ამგვარი იმედგაცრუება მარტო ახალი დემოკრატიებით არ შემოიფარგლება. ანალოგიური "დაავადების სიმპტომები" გავრცელებული ფენომენია დამკვიდებულ დემოკრატიებშიც კი. თითქმის ყველგან დაიკლო არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის პროცენტულმა მაჩვენებელმა, ისევე როგორც კავშირებში გაწევრიანებულთა რიცხვმა; დაეცა პოლიტიკოსების პრესტიჟი, პარლამენტების გავლენა და მნიშვნელობა, გაუარესდა პარტიული იდენტიფიკაციის ხარისხი, ელექტორატის პრეფერენციების სტაბილურობა და ნდობის ხარისხი საზოგადოებრივი ინსტიტუტების უმეტესი ნაწილის მიმართ. და პირიქით, იმატა დავებმა, ბრალდებებმა და სასამართლო დევნამ კორუფციისთვის; გაიზარდა პოპულისტი ანტიპარტიული კანდიდატების რიცხვი. გადაჭარბება იქნებოდა ამ ტენდენციებისთვის დემოკრატიული ლეგიტიმურობის ფართომასშტაბიანი "კრიზისი" გვეწოდებინა, თუმცა ამ სიმპტომების გასაოცარი ყოვლისმომცველობა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა არსებობდეს საერთო დეფიციტი დემოკრატიის ინსტიტუტებსა და პრაქტიკაში. კომუნიზმის დაშლამ და დემოკრატიის გავრცელებამ ვერ გამოიწვია დემოკრატიის უძლეველობაზე დაფუძნებული "ისტორიის დასასრული". დღეს რეალურად არსებული დემოკრატი-

ები ვერ სარგებლობენ უშფოთველი განვითარებით შტილის პირობებში, არამედ მათ თავს ატყდებათ კრიტიკის ქარიშხალი მრავალი მხრიდან.

5. რეალურად არსებული დემოკრატია შეიძლება განსაკუთრებულად იმედგაცრუების მომტანი აღმოჩნდეს იქ, სადაც ის ახლად დამკვიდრებულია, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს უარყოფითი დამოკიდებულება რაიმე საფრთხეს უქმნიდეს მას. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი მოქალაქეა უკმაყოფილო არჩეული ლიდერებით, ან გაურბის პოლიტიკას, როგორც "ბინძურ საქმეს". მაინც არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ მასებს ამოძრავებდეს სურვილი ჰყავდეს სხვა რომელიმე ტიპის მთავრობა დემოკრატიულის გარდა, და შეინიშნება აშკარად გამოხატული არადემოკრატიული პარტიებისა თუ პოლიტიკოსების მხარდაჭერის მხოლოდ მცირე ზრდა. ის ძალები, რომლებიც წარსულში ხშირად ხმარობდნენ ძალას და დანგრევით ემუქრებოდნენ დემოკრატიულ განვითარებას, ახლა განსაცვიფრებელ პასიურობას იჩენენ. ეკონომიკური და სოციალური კრიზისები, რომლებიც მანამდე საკმარისი ბიძგის მიმცემი ფაქტორი იყო რეჟიმის შესაცვლელად, ახლა მხოლოდ საარჩევნო პოლიტიკის რყევას იწვევენ, ანდა უბიძგებენ (არც თუ რეგულარულ საფუძველზე) იმას, რომ არჩეული მთავრობის წარმომადგენლები გადადგნენ და მათ ადგილზე სხვები მოვიდნენ.

შედარებითი კვლევების მიმოხილვა ადასტურებს, რომ კმაყოფილება არსებული ხელისუფლებითა და ნდობა არსებული ინსტიტუციების მიმართ უსაზღვროდ დაბალია (რასაც თან ახლავს მოსახლეობის ნაწილის ნოსტალგია ავტოკრატიული "ძლიერი ხელის" მიმართ, რაც ასევე არ ყოფილა ამ ადამიანებისთვის უცნობი რამ). მაგრამ არცერთი ამათგან არ თამაშობს რაიმე როლს საიმისოდ, რომ ავტოკრატიული რეჟიმის დაბრუნება შესაძლებელი გახდეს. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების მხრივ (ბრაზილია, ჩილე, უნგრეთი და პოლონეთი), სუბიექტურ შეფასებებში დემოკრატიას დაბალ ქულებს აძლევენ, თანაც ამავე დროს არავინ მოელის, რომ ეს ავტორიტარული რეჟიმისკენ უკან მიბრუნებას მოასწავებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში აუტოგოლპე-ის ("თვით-გადატრიალება", რომელთა მეშვეობით არჩეული ხელისუფლება იგრძელებდა ძალაუფლებას და რჩებოდა ხელისუფლების სათავეში დეკრეტის ძალით) პერსპექტივა რეალურ საფრთხედ მოჩანდა, თუმცა ამგვარმა გამბიტებმა მცირე ხანში მარცხი განიცადა. ჩემი მოსაზრებით, ეს არის შედეგი იმისა, რასაც მე "პოლიტიკური დინამიკის მეორე კანონს" ვეძახი - ვგულისხმობ, სახელ-

დობრ, იმას, რომ არასოდეს არცერთი რეჟიმი არ გადაყენებულა ან შეცვლილა მანამ, სანამ არ შეიქმნებოდა რეალური ალტერნატივა. იმ დრომდე, სანამ ჰორიზონტზე არ გამოჩნდება სანდო და მიმზიდველი ალტერნატიული ძალა, რეალურად არსებული დემოკრატია - რაოდენ არაპოპულარულიც უნდა იყოს ის - "ერთადერთ მოთამაშედ რჩება მინდორზე."

ამის გარდა, სადავოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს დემოკრატიის თანდაყოლილი არასრულფასოვნების ნიშნად. დემოკრატი თეორეტიკოსები (და არა დემოკრატიზაციის თეორეტიკოსები) იმ აზრისკენ იხრებიან, რომ დემოკრატიული სტაბილურობა დამოკიდებულია "სამოქალაქო საზოგადოების" აყვავებაზე, რომელიც გამოირჩევა ჯგუფთაშორისი ტოლერანტობის მაღალი დონით, ინსტიტუციონალიზმის მიმართ ნდობით და კომპრომისებისადმი მზადყოფნით. იმას, რასაც ჩვენ ვუყურებთ თანამედროვე ახალი დემოკრატიების სახით, უფრო მეტად "ცინიკური" შეიძლება ეწოდოს, ვიდრე "ცივილური". ამასთან დაკავშირებით, მე მაქვს იმედიც და წინათგრძნობაც. ჩემი წინათგრძნობაა, რომ ეს სიტუაცია შესაძლოა არ აღმოჩნდეს იმდენად სახიფათო და დაშლისაკენ მიდრეკილი, როგორც ერთ დროს ფიქრობდნენ. და მე ვიმედოვნებ, რომ თუკი შესაძლებელი იქნება მმართველი სახელისუფლო ძალების ჩათრევა ამ კონკურენტულ-პოლიტიკურ თამაშებში (თუნდაც არასრულფასოვან სახეობაში) თხუთმეტი ან ოცი წლის განმავლობაში, მაშინ შემდეგი კრიზისი გადაწყვეტილი იქნება დემოკრატიის განსხვავებულ ქვესახეობაზე გადასვლის უფრო დიდი ალბათობით, ვიდრე არადემოკრატიული რეჟიმისკენ მიბრუნებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიით განხიბლვამ შეიძლება გამოიწვიოს არა ავტოკრატიისკენ მიბრუნება, არამედ ის, რომ პროცესი გადაიზარდოს დემოკრატიის განსხვავებულ და, შესაძლოა, უკეთეს ფორმაშიც კი.

6. დემოკრატიზაცია შეიძლება განსხვავებული იყოს "პოსტტოტალიტარული" და "პოსტავტორიტარული" პოლიტიკური სივრცეებისთვის, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ამას სპეციალისტები წინასწარმეტყველებდნენ. ოცი წლის წინ ისე ჩანდა, თითქოს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიზაციის დამყარება გაცილებით უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე იმ ქვეყნების დემოკრატიზაცია, რომლებიც ავტოკრატიული და კომუნისტურისგან განსხვავებული სხვა რეჟიმების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები საჭიროებდნენ არა მხოლოდ გადამჭრელ პოლიტიკურ რეფორმებს, მასშტაბურ ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს, არამედ, ყველაფერთან ერთად, აგ-

რეთვე კულტურულ და მენტალურ ტრანსფორმაციას, იმისათვის, რათა დაეძლიათ ათწლეულების მანძილზე ძალით თავს მოხვეული იდეოლოგიური კოლექტივიზმის უარყოფითი შედეგები. ამგვარი თვალსაზრისი ფართოდ იყო გავრცელებული და მცდარი აღმოჩნდა. პირიქითაც კი მოხდა: ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის უფრო დასავლურ რესპუბლიკებშიც კი, ავტოკრატიული რეჟიმიდან ტრანზიცია და დემოკრატიის კონსოლიდაცია უფრო ადვილად განხორციელდა (რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ - უფრო სწრაფად და საფუძვლიანად), ვიდრე ლათინური ამერიკისა და სამხრეთი ევროპის ქვეყნებში. არ განხორციელდა იმ ნაწინასწარმეტყველები საშინელი მოვლენების უმრავლესობა და არ დამდგარა ის გადაუჭრელი დილემები, რასაც პოსტკომუნიზმს უქადდნენ. იმისი მტკიცებაც კი შეიძლებოდა, რომ ერთბაშად ამდენ ამოცანასთან გამკლავება, ამდენი ცვლილების მოხდენა ერთგვარი უპირატესობაც კი იყო. ამან მისცა ახალ ხელისუფლებას გაზრდილი სტრატეგიული სივრცე, რომელშიც მას შეეძლო დიალოგის წარმართვა ყოფილ გავლენიან ელიტასთან, რათა შეეთავაზებინა მისთვის ფართო კომპრომისები, რაც იყო ერთგვარი გაცვლითი შეთანხმება მათ შორის: მმართველ ძალად აღიარება ფულის კეთების უფლების სანაცვლოდ. ეთნიკური ძალადობების აფეთქება ძირითადად შემოისაზღვრა იმ ტერიტორიებით, რომლებიც ადრე იუგოსლავიაში შედიოდა, სადაც საბჭოთა ტიპის ტოტალიტარული მმართველობა და პოლიტიკური კულტურა უკვე კარგა ხანია დაცემას განიცდიდა. იმ შემთხვევებში, როცა არადემოკრატიულმა რეჟიმებმა მომენტალურად დაიმკვიდრეს თავი (როგორც შუა აზიის ხუთ რესპუბლიკაში), ან ხანმოკლე კონკურენტული ანტრაქტის შემდეგ (ბელორუსიასა და რუსეთში), ტრანზიცია არ ჩაშლილა, არამედ უფრო იმაზე შეიძლება საუბარი, რომ სერიოზული მცდელობა არცკი განხორციელებულა, ვინაიდან ექსკომუნისტებმა, რომლებიც თავს ნაციონალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, მოიგეს უკონკურენტო არჩევნები და გამოიყენეს უკვე არსებული საორგანიზაციო უპირატესობანი ძალაუფლებაში თავის დასამკვიდრებლად.

7. ძველ სახელისუფლო ელიტასა და ოპოზიციურ ჯგუფებს შორის დადებულმა შეთანხმებებმა, როგორც ჩანს, იქონია გარკვეული ეფექტი მცირე და საშუალო დროითი მონაკვეთების განმავლობაში, თუმცა მათი ხანგრძლივი ეფექტიანობა უფრო საეჭვო ჩანს. იმ ტრანზიციებთან ერთად, რომლებიც უბრალოდ "შემოიღო" მმართველმა ელიტამ, "გარიგებულმა" ტრანზიციებმა რაოდენობით გადააჭარბეს 1974 წლიდან პერი-

ოდში დემოკრატიული ტრანზიციების ისტორიულად ყველაზე ჩვეულ ფორმებს, ანუ რევოლუციებსა და რეფორმებს. აქედან გამომდინარე, აღნიშვნის ღირსია ის პრობლემა, რომლებიც თანაბრად ახასიათებთ როგორც "გარიგებულ", ისე "შემოღებულ" ტრანზიციებს: ორივე ამჟღავნებს ტენდენციას "ჩაიკეტოს" არსებულ პრივილეგიებში და უფრო მძიმედ ახორციელებს ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებულ რეფორმებს. ასეთი გარიგებები დემოკრატიის მომავლისთვის განსაკუთრებული ზიანის მომტანია იმით, რომ უბიძგებენ (აცდუნებენ) ელიტებს გააგრძელონ თავიანთი შეთანხმებები ადრეული მყიფე პერიოდის შემდგომაც და გაამაგრონ გარიგების სქემა პოლიტიკურ პარტიებს შორის, რაც ნიადაგს უქმნის კორუფციას და იწვევს მოქალაქეთა იმედგაცრუებას. ვენესუელა, რომელიც გარიგებული ტრანზიციის დიდი ხნის ისტორიის მქონე მაგალითია, ამგვარი გამხრწნელი დინამიკის კარგი ილუსტრაციაა.

ჰტტპ://წ წ წ.ფაცებოოკ.კომ/ნოტეს/ზჰურნალსოლიდარობა/პილიპ-კ-სჰმიტერ-ოცდაჩუ�d-კვლევა-ბჰუმ ეტ-სპელეგიიუმ ოიროგზაკია/102169659846260

ფილიპ კ. შმიტერი. ოცდახუთწლიანი კვლევა, თხუთმეტი შედეგი (II)

ბყ ჟურნალი "სოლიდარობა" ონ თჰურსდაყ, შეპტემ ბერ 16, 2010 ატ 5:53ამ

8. პოლიტიკური პარტიები თავიანთ არსებობას ამართლებენ მაშინაც კი, როცა, როგორც წესი, უმნიშვნელო როლს ასრულებენ ტრანზიციის განხორციელებაში, მაგრამ მათ ნაკლები წვლილი შეიტანეს დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევაში, ვიდრე მათგან მოელოდნენ. ვერანაირი დემოკრატიზაციის პროცესი ვერ განხორციელდება პარტიების გარეშე, განსაკუთრებით, როცა არჩევნებია გამოცხადებული. ავად თუ კარგად, პარტიები შეუცვლელ როლს თამაშობენ წარმომადგენლობისთვის კონკურენტობის სტრუქტურირებაში ტერიტორიულად განსაზღვრულ შესაბამის საარჩევნო ოლქებში. იმისთვის, რათა "დამფუძნებელმა არჩევნებმა" შედეგი გამოიღოს, პოტენციური პარტიების მთელ სპექტრს, გამონაკლისის გარეშე, უნდა მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და წამოაყენოს თავისი კანდიდატი ასარჩევად. მიღებულ კანონებზე დაყრდნობით, შემდგომი არჩევნები უჩვენებენ, რომ პარტიათა რაოდენობა შემცირდება, მაგრამ იმ საწყისი კონკურენციების ეფექტი (გილერმო და მე მას "სამოქალაქო ორგიებს" ვუწოდებთ) დარჩება და გააგრ-

ძელებს მუშაობას. დემოკრატიზაციის ადრეულ ტალღებში რევოლუციები ქვემოდან ამჟღავნებდნენ ტენდენციას წარმოეშვათ ერთადერთი დომინანტური პარტია, რომელიც მმართველი გახდებოდა დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში და გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ახალი რეჟიმის ახალი კანონების გამომუშავებაში. კიდევ უფრო ახლო წარსულში გარიგებული და შემოღებული ტრანზიციები ბევრად უფრო ჩვეული მოვლენა გახდა და წარმოშვა განსხვავებული მოკლევადიანი ეფექტები (შედეგები). შეთანხმებები ამრავლებენ გარიგებაზე დაფუძნებულ ორპარტიულ სისტემებს; შემოღებულ ტრანზიციას, ჩვეულებრივ, ბევრად უფრო დანაწევრებულ პარტიულ სურათამდე მივყავართ - ყოველ შემთხვევაში იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც ოპონირებას უწევდნენ წინა ავტოკრატიულ ხელისუფლებას. მოულოდნელი შედეგია ის, რომ, როცა საქმე მიდგება დემოკრატიის კონსოლიდაციაზე და იმაზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ავტოკრატიისკენ მიბრუნების საფრთხე, ორივე მოდელი ქმედუნარიანად გამოიყურება. ეს ასეა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ახალი პარტიები ხშირად ძალიან სუსტნი არიან, ჰყავთ მცირერიცხოვანი ერთგული მხარდამჭერები, უჭირთ სახსრების მოძიება და მოსახლეობის შეზღუდული ნდობითა და დაბალი შეფასებით სარგებლობენ. ახალმა დემოკრატიებმა, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ისე აღმოსავლეთ ევროპაში, არნახული რყევები განიცადეს ერთი არჩევნებიდან მეორემდე პერიოდში და პარტიების დაბადებისა და კვდომის რეკორდული მაჩვენებელი დააფიქსირეს. მოქალაქეები ავლენენ ძლიერ პოლიტიკურ დაინტერესებას და აშკარა მიდრეკილებებს (პრეფერენციებს), თუმცა სირთულეებს აწყდებიან, როცა საქმე იმაზე მიდგება, რომ ეს სიმპათიები მყარ მხარდაჭერით იდენტიფიკაციად გარდაიქმნას. 1974 წლის შემდეგ "დამფუძნებელი არჩევნების" მომგებმა პარტიებმა ძალიან იშვიათ შემთხვევებში მოახერხეს მომდევნო ვადით ხელისუფლებაში დარჩენა. ძალაუფლების შეცვლა წესად დამკვიდრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბევრმა ახალმა დემოკრატიამ "შოკში ჩააგდო ექსპერტები" იმით, რომ რეჟიმის კონსოლიდაცია წინასწარ თავისი პარტიული სისტემის კონსოლიდაციის გარეშე მოახდინა.

9. ლიტერატურაში დემოკრატიული ტრანზიციისა და კონსოლიდაციის შესახებ სამოქალაქო საზოგადოება აღწერილია, როგორც ძალიან დადებითი და მნიშვნელოვანი რამ, თუმცა ეს შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი სიკეთე. მისი არსებობა მიჩნეულია ჯანსაღ და სასიცოცხლო ფაქტორად ორივე პროცესის წარმატებისთვის. კლასიკურ "რეფორმულ" ტრანზიციებში გარიყული ან მარგინალიზებული ჯგუფების თვითორგა-

ნიზაცია და უკმაყოფილების გამოხატვის მათგან მომდინარე მუქარა (მაგრამ არაძალადობრივი) მმართველ ელიტას დათმობაზე წასვლას აიძულებს. მას მერე, რაც ტრანზიცია განხორციელდება, ამ ორგანიზაციათა სურვილი და მზადყოფნა, ითამაშონ ახალი წესების მიხედვით, ხელს უწყობს რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნებას. სამოქალაქო საზოგადოებამ ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი ფილიპინებში, სამხრეთ კორეაში, პერუსა და ჩეხოსლოვაკიაში, მოგვიანებით კი საქართველოსა და უკრაინის "ფერად რევოლუციებში", თუმცაღა - უფრო ტრანზიციის, ვიდრე კონსოლიდაციის პროცესში. ტრანზიციის თითქმის ყველა შემთხვევა 1974 წლის შემდეგ ახლოს იდგა "გარიგებულ", ან "შემოღებულ" მოდელებთან, რომლებშიც ნაკლებად არის გამოკვეთილი სამოქალაქო საზოგადოებების როლი. სამოქალაქო საზოგადოებას არ შეეძლო აერჩია ცვლილებების დრო ან ხასიათი; საუკეთესო შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოებას შეეძლო ეთამაშა დამხმარე როლი იმით, რომ ერთ მაგიდასთან დაესვა ძველი რეჟიმის ნაკლებად ხისტი ადამიანები და ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენლები; ანდა დაერწმუნებინა ძველი ხელისუფლება, რომ რეპრესიების ჩატარება მათ ძვირად დაუჯდებოდათ. მას მერე, რაც დაიწყო ტრანზიციების განხორციელება, სამოქალაქო საზოაგადოებამ მოახდინა ძალების მობილიზება საიმისოდ, რომ ხელისუფლებას არ შექმნოდა კომფორტული საარსებო პირობები მხოლოდ ლიბერალიზაციის შემოღებით და უკიდურესად შეზღუდული არჩევნების ჩატარების მეშვეობით.

თუმცა სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია აგრეთვე ითამაშოს ფრიად ორაზროვანი და მავნე როლიც კი. იუგოსლავიაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების (თუ საზოგადოებების) მობილიზაცია დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფების ირგვლივ მოხდა, ამან ნავთი დაასხა ხანგრძლივად გაგრძელებული ძალადობრივი კონფლიქტის ცეცხლს. დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდშიც ბალტიისპირეთისა და კავკასიის რეგიონებში, სადაც გააქტიურდნენ ნაციონალისტური ლოზუნგების დამამკვიდრებელი სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებები, რასაც ზოგჯერ ახლდა ძალის გამოყენებაც. დამტკიცდა, რომ არსებობს გარკვეული სიტუაციები, როცა სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაცია უფრო ართულებს, ვიდრე აიოლებს ახალ წესებზე შეთანხმებას და მათ შესრულებას.

10. პარლამენტარიზმი, დეცენტრალიზაცია (ფედერალიზმი), შეკავება და შეწონასწორება (ჰორიზონტალური დაქვემდებარება) მიჩნეული

იყო წარმატებული კონსოლიდაციის ჯადოსნურ ინგრედიენტებად, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ სხვა ტიპის ინსტიტუციები აირჩია და ანალოგიურ შედეგს მიაღწია. თუკი ერთი რამ მაინც შევისწავლე ინსტიტუციების შესახებ გასული 25 წლის განმავლობაში, ეს არის ის, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური ჯადოსნური ფორმულა: არ მოიპოვება ისეთი რამ, რაც ყველგან თანაბრად მუშაობს. ლათინური ამერიკის ქვეყნების სახელმწიფო მოწყობამ არც ისე ცუდად იმუშავა საპრეზიდენტო მმართველობის (პრეზიდენტიალიზმის) დროს - და მე ვერ ვხდავ იმის დამამტკიცებელ ნიშნებს, რომ ან კურუფციის დონე, ან ეთნიკური კონფლიქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იყოს რეგიონის უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში ცუდად არ უმუშავია პარლამენტარიზმსა და ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას, ხოლო ფედერალიზმი დასრულდა ფედერალური სახელმწიფოების დაშლით ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირში. ევროპის კავშირი მომავალი წევრებისაგან გაზრდილ რეგიონალურ ავტონომიასა და ჰორიზონტალურ დაქვემდებარებას მოითხოვდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ რა კონკრეტული განსხვავება მოიტანა ამან, გარდა უფრო ზოგადი (და ნამდვილად უფრო სასარგებლო) იმპულსისა თავად ევროპის კავშირის წევრობისთვის. იქ, სადაც გადამეტებული საპრეზიდენტო მმართველობა და ცენტრალიზაცია შეკავებისა და შეწონასწორების ნაკლებობის პირობებში დემოკრატიზაციის მარცხთან ასოცირდებოდა (სომხეთი, ბელარუსი, შუა აზია და რუსეთი), პრობლემას ესა თუ ის ინსტიტუცია კი არ წარმოადგენდა, არამედ სიჭარბე ექსკომუნისტური ელიტისა, რომელიც მეტისმეტად დიდ ძალაუფლებას ფლობდა. დემოკრატიისადმი არაკეთილგანწყობილი ეს ინსტიტუტები უფრო სიმპტომებია, ვიდრე შედეგები. ამდენად, შეიძლება საკმაოდ გაბედულად დავასკვნათ, რომ ინსტიტუციების არჩევანს შეუძლია შექმნას განსხვავება (და დაკავშირებულია ტრანზიციის მოდელთან - ან მის არარსებობასთან), მაგრამ ეს არ იქნება ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე განსხვავება.

11. დემოკრატიის ყველა ეკონომიკურ და კულტურულ წინაპირობასა და წანამძღვარს შორის ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმის საჭიროებას, რომ პირველ ყოვლისა ეროვნულ იდენტურობასა და საზღვრებზე მოხდეს შეთანხმება. ის მოსაზრება, რომ დემოკრატიზაციის პროცესს თან ახლავს ეთნოლინგვისტური კონფლიქტების გაღვივების საფრთხე, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული; ზოგჯერ ეს მოსაზრება მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ უნდა იქნეს განხორციელებული დემოკრატიზაციის მცდელობა. სრული სიმართლეა, რომ დე-

მოკრატიული მექანიზმები გამოუსადეგარია იმის დასადგენად, თუ რომელი ადამიანი რომელ დემოსს მიეკუთვნება და ძალიან იშვიათად თუ შეიძლება სარგებლის მომტანი გახდეს იმ შემთხვევებში, როცა ატყდება დავა საზღვრების შესახებ. ჩვენს წიგნში გილერმო და მე ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. 1970-იანი წლების სამხრეთ ევროპასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში საზღვრებისა და იდენტურობის (მცირე გამონაკლისების გარდა, როგორც, მაგალითად, ბასკებისა ესპანეთში) პრობლემები არ იყო მნიშვნელოვანი. შემდგომში, ჩემდა გასაკვირად, ეთნიკური საკითხის ირგვლივ გაერთიანება (მობილიზაცია) გახდა ანდების რამდენიმე მაღალცენტრალიზებული სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი. ამგვარმა მობილიზაციამ, რასაკვირველია, პოლიტიკური პროცესები უფრო მღელვარე გახადა, მაგრამ ჯერჯერობით სერიოზული საფრთხე არ შეუქმნია თავად რეალურად არსებული დემოკრატიისთვის. "ეროვნულობის" საკითხი ყველაზე უფრო რელიეფურად გამოიკვეთა ცენტრალური, აღმოსავლეთი ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ამისდა მიუხედავად, ყველაზე ცუდ შემთხვევებშიც კი, ეთნოლინგვისტურ დავებს არ გამოუწვევია დემოკრატიის წინსვლისა და კონსოლიდაციის შეჩერება, ისევე როგორც არ შეუწყვეტიათ საზღვრების დადგენის შესახებ არსებული მოლაპარაკებები. ეჭვგარეშეა, რომ დაძაბულობა კვლავ არსებობს, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს დემოკრატიას შეუძლია, თუკი საკმარისი ხნის მანძილზე შენარჩუნდება, გამოავლინოს თავი დიდი პოტენციის მქონე ძალად იმ პროცესებში, რასაც ეროვნული დემოსის ჩამოყალიბება ჰქვია, თუნდაც ის გარკვეული საზღვრების შიგნით მოქცეულ მეტ-ნაკლები ავტონომიის მქონე განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შეიცავდეს.

12. მიუხედავად ნეოლიბერალური ენთუზიაზმისა, პრივატიზაციისა და გლობალიზაციის გამო დემოკრატიზაცია კვლავინდებურად ეყრდნობა ისეთ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც უფლებაუნარიანია მიმართოს ძალის ლეგიტიმურ გამოყენებას და ცხოვრებაში გაატაროს კოლექტიური გადაწყვეტილებები გარკვეული ტერიტორიის შიგნით, ანუ სახელმწიფოში. მართალია, გადაჭარბება იქნება იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს გარეშე ვერ იარსებებს დემოკრატია, მოქალაქეებს სურვილი აქვთ არსებობდეს კომპეტენტური, ადეკვატური და მუდმივმოქმედი ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც შეძლებს მათ დაცვასა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ნებისმიერი სახის რეჟიმს თანამედროვე სამყაროში, დემოკრატიული იქნება თუ ავტოკრატიული, ლეგიტიმური თუ უკანონო - ესაჭიროება "სახელმწიფოებრიობის" გარკვეუ-

ლი დონე საიმისოდ, რომ არსებობა შეძლოს (თანაც, ავტოკრატიულსა და არალეგიტიმურ რეჟიმებს - კიდევ უფრო მაღალი ხარისხით). განსაკუთრებით პრობლემატური ახალი დემოკრატიების საწყისი ეტაპებისთვის არის ის, რომ ტრანზიცია, სავარაუდოდ, უარყოფითი შეფასების ზრდას გამოიწვევს მოქალაქეებში, რომლებიც ჩათვლიან, რომ ადგილი აქვს სახელმწიფოებრიობის მკვეთრ დაკნინებას. თავისუფლების ახალი ნორმები ზოგიერთმა მოქალაქემ შეიძლება აურიოს თავისუფლებაში არ გადაიხადოს გადასახადები და არ დაემორჩილოს კანონს. და ვინაიდან ავტოკრატიის პირობებში სტატისტიკური მონაცემები დანაშაულისა და კორუფციის შესახებ, როგორც წესი, დამდაბლებულია, შეიქმნება უფრო უარესი სურათი, ვიდრე სინამდვილეშია, მას მერე, რაც დემოკრატიასთან ერთად მოვა ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება. თითქმის ყველა ახალი დემოკრატია გამოივლის ხოლმე ამგვარ უსიამოვნო პერიოდს და უმეტეს შემთხვევაში ახერხებს გადარჩენას (საზოგადოდ, დანაშაული და კორუფცია კონსოლიდირებული დემოკრატიის პირობებში ნაკლებია, ვიდრე ავტოკრატიული მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს). შემდეგ კი საკვანძო საკითხად დგება არა იმდენად თავად სახელმწიფოებრიობა, არამედ მისი იდეალური ბუნება და მოქმედების დიაპაზონი. ეს საკითხები გადაიქცევა ნორმალური დემოკრატიული პოლიტიკური კონკურენციის არსებით თემებად.

13. ლიბერალიზაცია შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში წინ უსწრებდეს დემოკრატიზაციას, მაგრამ იგი სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად განსაზღვრავს დემოკრატიზაციის შედეგებს. გილერმომ და მე ხაზი გავუსვით გამოცოცხლებული სამოქალაქო საზოგადოების დამაკავშირებელ ფუნქციას ლიბერალიზაციასა და შემდგომ დემოკრატიზაციას შორის. ეს თანმიმდევრობა პოსტკომუნისტური ქვეყნების დიდ ნაწილშიც კი გამოვლინდა. ტრანზიციის განხორციელების პერიოდისთვის კომუნისტური რეჟიმების უმრავლესობამ უკან დაიხია ტოტალიტარიზმისგან, ვინაიდან კომუნისტურმა პარტიებმა დაინახეს, რომ მათი მარწუხები მოსუსტდა და მოქალაქეებმა დაიწყეს მოთხოვნა და თანდათან მიიღეს კიდეც ადამიანის ინდივიდუალური უფლებების პატივისცემის უფრო მაღალი ხარისხი. ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს, სადაც ტრანზიციის პირობები, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი იყო. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოაფრიკის ავტოკრატების მიერ გათამაშებული სპექტაკლები არის ის, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კავშირის არსებობა ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციას შორის. აქ უყვართ ლიბერალიზაციით,

როგორც სათამაშოთი, თავის შექცევა და შემდეგ მისი გადაგდება თავიანთთვის მავნე შედეგების გარეშე. ჩემთვის გამოცანად რჩება ის, თუ რატომ იჩენენ არაბულ-ისლამური სამყაროს სამოქალაქო საზოგადოებები დღემდე ასეთ მორჩილებას. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, დათრგუნული რელიგიური და ეთნიკური განხეთქილების არსებობით, რასაც დემოკრატიზაცია სახიფათო მუქარად აქცევს ხელისუფლებაში მყოფთათვის, ანდა რეგიონის საშუალო ფენების მყიფე და სახელმწიფოზე დამოკიდებული ბუნებით.

14. დემოკრატიზაცია საჭიროებს არა მხოლოდ მოყვარულ მოქალაქეებს, არამედ პროფესიონალ პოლიტიკოსებსაც. არსებობს მყარი მითი იმის შესახებ, რომ არჩეული ოფიციალური პირები არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც დროებით მიუძღვნეს თავი საზოგადოებრივ სამსახურს. მოყვარულები შეიძლება სათავეში ჩაუდგნენ ავტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას და დაიკავონ უმაღლესი თანამდებობები ტრანზიციის ადრეულ ეტაპებზე, მაგრამ მალე ისინი ადგილს დაუთმობენ პროფესიონალ პოლიტიკოსებს. დღესდღეობით პოლიტიკოსებს ესაჭიროებათ დიდი პარტიული და პიროვნული რესურსების ქონა არჩევნების მოსაგებად, ასევე - სპეციალური ცოდნა იმისთვის, რათა ანგარიშვალდებულების ქვეშ ამყოფონ ტექნოკრატები; მათ აგრეთვე უნდა იყოლიონ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სპეციალისტები და ა. შ., რათა დარჩნენ ხელისუფლებაში. პროფესიული პოლიტიკური კლასის ზრდა შესაძლოა აუცილებელი გახდეს, მაგრამ ეს, ამასთანავე, წარმოადგენს რეალურად არსებული დემოკრატიის მიმართ მოქალაქეთა იმედგაცრუების სერიოზულ წყაროს. სოციალური და კულტურული ნაპრალის გაფართოება მოქალაქეთა და იმ ადამიანებს შორის, ვინც ხალხის წარმომადგენლებს უწოდებს თავს, სერიოზულ პრობლემად შეიძლება გადაიქცეს. პოლიტიკოსები, ასევე, სულ უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებიან სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ თანხებზე, როგორიცაა გაზრდილი გადასახადები ან ჩრდილოვანი კერძო შემოწირულობები, რაც მოსახლეობის გაზრდილ ეჭვსა და უკმაყოფილებას იწვევს.

15. საერთაშორისო კონტექსტი გაზრდილი მნიშვნელობის დეტერმინანტი გახდა ტრანზიციისთვის, როგორც დროის, ისე მოდელისა და შედეგების თვალსაზრისით. გილერმომ და მე ადგილობრივი, შინაური ფაქტორების პრევალირებაზე გავამახვილეთ ყურადღება და ამას ჩვენი ერთ-ერთი “წინასწარი დასკვნა” ვუწოდეთ. მე დღესაც იმავე თვალსაზრისს ვამტკიცებ ლათინური ამერიკისა და სამხრეთი ევროპის მაგალი-

თებზე დაყრდნობით. ამის საპირისპიროდ, ის პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოგვიანებით აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში, წარმოუდგენელი იქნებოდა, საბჭოთა კავშირს წინასწარ რომ არ შეეცვალა პოზიცია და უარი რომ არ ეთქვა ჰეგემონისტურ პრეტენზიებზე. რეფორმები ვერ განხორციელდებოდა ისე სწრაფად და ვერ წავიდოდა ისე შორს, როგორც პრაქტიკაში მოხდა, რომ არ ყოფილიყო სტიმულირება ევროპის კავშირის წევრობის შეთავაზების სახით. ამის გარდა, მას მერე, რაც დაიწყო პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანზიცია (აქ პირველობა პოლონეთს ეკუთვნის), მათ შორის განვითარდა დიფუზიისა და იმიტაციის შეუქცევადი პროცესები.

საერთაშორისო კონტექსტი ვარიანტული და ძალიან ძნელად მოსახელთებელია. თავისი განსაზღვრებით, ის თითქმის ყველგანმოქმედია, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში თითქმის შეუძლებელია სრული პოლიტიკური იზოლაციის მიღწევა. ამისდა მიუხედავად, მიღებული შედეგი ხშირად არაპირდაპირია და ხორციელდება გამოუცნობი და დაუგეგმავი გზებით, აშკარად ნაციონალური ძალების მეშვეობით. მისი სხვადასხვაგვარობა ბევრადაა განპირობებული კონკრეტული ქვეყნის სიდიდით, რეგიონალური კონტექსტით, რესურსების სიუხვით, გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობითა და გაერთიანების სტრუქტურით. ამისდა მიუხედავად, ჩვენ წინასწარ ვერ ვივარაუდეთ მისი ორი ასპექტი; პირველი არის დიდი რაოდენობისა და სხვადასხვაობის არასამთავრობო ან კვაზისამთავრობო ორგანიზაციების ფორმირება, რომლებიც ემსახურებიან დემოკრატიის გავრცელებას და ადამიანის უფლებების დაცვას ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში; მეორე კი - ევროპის საბჭოს მიერ პასუხისმგებლობის აღება, დაეხმაროს ახლად აღმოცენებულ დემოკრატიებს მატერიალურად ან სტიმულის მიცემით, რაც წევრობის პერსპექტივის გაჩენაში გამოიხატება.

მთელმა ახალმა სამყარომ "ეროვნული სახელმწიფოს შიგნით და მის გარეთ" აღმოაჩინა და მოირგო ტრანზიციული მმართველობის ფორმები, თავდაპირველად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და შემდგომ - აზიასა და აფრიკაში. დამოუკიდებელმა ასოციაციებმა, მოძრაობებმა, ფონდებმა, საკონსულტაციო ფირმებმა, პარტიების საერთაშორისო განყოფილებებმა გაიღეს წვლილი იდეების გენერირების, კონტაქტების დამყარებისა და მცირე ფინანსური დახმარების მიწოდების სახით. ეროვნულმა მთავრობებმა, რეგიონალურმა და გლობალურმა ორგანიზციებმა გაიღეს ბევრად მეტი თანხები და, ევროპის კავშირის შემთხვევაში, ეს

წვლილი გამოიხატა გარედან ჩარევის სრულიად ახალი ფორმით, კერძოდ -"პოლიტიკური პირობითობით (ცონდიშენალიტი)". ევროპის კავშირის პირობითობა ესოდენ მიმზიდველი გახადა "ევროპულ კლუბში" სავარაუდო წევრობის დაკავშირებამ აქეუის ცომ მ უნაუკირ-სთან (რაც წარმოადგენს ევროპის კავშირის გადაწყვეტილებებისა და კანონების კორპუსს, დაწერილს 1958 წლის შემდეგ) თანხმობაში ყოფნასთან, ისევე როგორც პოლიტიკური ნორმების ახალი კრებულის, ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების", ათვისებასთან, რომელიც შემუშავებულ იქნა სპეციალურად იმისთვის, რომ განესაზღვრა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ კანდიდატი ქვეყნები. დიდ ტომად გაერთიანებული პირობითობის ვერსია ამჟამად შეეხება ევროპის კავშირის ყველა სავაჭრო შეთანხმებას დადებულს ე.წ. ჩ (აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის) ქვეყნებთან და იგულისხმება, რომ მის მიხედვით უნდა წარიმართოს ევროპის კავშირის "სამეზობლო" და "ხმელთაშუაზღვისპირეთის" სტრატეგიები, რომლებიც, შესაბამისად, ევროპის უშუალოდ მომიჯნავე აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტერიტორიებს შეეხება. სხვა რეგიონალური ორგანიზაციები, როგორებიცაა ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, (ბრიტანეთის) თანამეგობრობისა და აფრიკის კავშირიც კი, დაადგნენ ანალოგიურ გზას. მათი ნაბიჯები გამოიხატებოდა იმაში, რომ მიიღეს ოფიციალური შეთანხმებები, რომლებიც ავალდებულებს მათ წევრებს, მიმართონ კოლექტიურ საპასუხო ზომებს რეჟიმის "არაკონსტიტუციური" შეცვლის შემთხვევაში.

ვინაიდან რეალურად არსებული დემოკრატია მუდმივად დაუმთავრებელი პროცესის პროდუქტია, დემოკრატიზაცია ყოველთვის დარჩება პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის საგნად. და ვინაიდან არაფერი გამოჩნდა ისეთი, რაც ყველა შემთხვევაში ქმედითი იყოს, მეცნიერებს ბევრ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა.

შენიშვნები

(1) უილიამ ო ' ონნელანდ ჰიდპე ჩ შცჰმ იფერ, თანსიტონს ფრომ ტჰე უტჰორიტარიან ღულ: თენტაგეცონცლუსიონს აბოუტ ნცერტაინ ემ ოკრაციეს (ალმ ორ: კოპენ ოპკინს ნიფერიდ ოსს,1986). ეს არს მ ეოთხე ტომ ი კრებულა თანსიტონს ფრომ უტჰორიტარიან ღულ, რომ ლ თანაგამ ომ ცემ ლბი იყვნენ ' ონნელშცჰმ იფერ აურუნცე ჭ ჰიფეპეად

(2) რეალურად არსებული დემოკრატია", ჩემი თვალსაზრისით, უნდა ატარებდეს შემდეგ ნიშნებს: ა) ემახდეს თავს დემოკრატიას; ბ) აღიარებულ უნდა იქნეს ასეთად სხვა თვითგამოცხადებული დემოკრატიებ-

ის მიერ; გ) უნდა იქნეს კ(ლასიფიცირებული დემოკრატიად პოლიტიკურ მეცნიერთა უმრავლესობის მიერ, სტანდარტული პროცედურული კრიტერიუმების გამოყენებით.

(3)დელეგირებული დემოკრატიის", ანუ "ჰიპერპრეზიდენტიალიზმის", აღორძინება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, იმგვარი რეჟიმების ბოლოდროინდელი მომრავლებით, ვენესუელის პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის მმართველობას რომ ბაძავენ, ჩემი თვალსაზრისით, არ წარმოადგენს ტრანზიციების მარცხის შედეგს, არამედ – უფრო რეაქციას კონსოლიდირებული დემოკრატიების პრაქტიკებზე, რომლებიც გადაჭარბებულად კოლუზიური (გარიგებული) იყო, როგორც ვენესუელაში, ან რომლებიც ყურს არ უგდებდნენ გარიყულ ეთნიკურ ჯგუფებს (ეკვადორი და ბოლივია). მხოლოდ ნიკარაგუის შემთხვევაში შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ეს იყო გაჭიანურებული (და კურუფციული) ტრანზიციის პროდუქტი.

ჰტტპ://წ წ წ .ფაცებოოკ.კომ /ნოტეს/ზჰუანდარობა/პოდ-კ-სჰმ იერ ოდაკუმენტინ კვლევა-ზჰუმ ეტ-ესპელეგიო/102183473178212

გილერმო ო'დონელი. შმიტერის რეტროსპექტივა: რამდენიმე განსხვავებული შენიშვნა

ბყ ჟურნალი "სოლიდარობა" ონ თჰურსდაყ, შეპტემბერ 16, 2010 ატ 6:37ამ

გილერმო ო'დონელი პოლიტიკური მეცნიერების ემერიტუს-პროფესორი და ნოტრ დამის უნივერსიტეტის კელოგის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის უხუცესი წევრია, აგრეთვე - სან მარტინის (არგენტინა) უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში. 2006 წელს ის გახდა პირველი მეცნიერი, რომელმაც მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის "მატეი დოგანის სახელობის პრემია მთელი ცხოვრების მიღწევებისათვის".

ჩემმა თანაავტორმა და ძველმა მეგობარმა ფილიპ შმიტერმა საინტერესო რეტროსპექტიული წერილი დაწერა. იმაზე ფიქრმა, თუ როგორ დავწერეთ ჩვენ წიგნების სერია ავტორიტარული მმართველობიდან ტრანზიციის შესახებ, მომგვარა თბილი მოგონებები იმ ინტელექტუალური აღტყინების თაობაზე, ჩვენ რომ დაგვეუფლა, როცა ფეხი შევდგით იმ

ტერიტორიაზე, რომელიც უთუოდ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, ამასთანავე - ფრიად აუთვისებელიც. მე მომაგონდა აგრეთვე მორალური და პოლიტიკური თანამონაწილეობის ის განცდა, რომელიც ჩვენ დაგვეუფლა, ვინაიდან ვეძებდით გზებს, რათა დახმარება აღმოგვეჩინა მსოფლიოსთვის, გათავისუფლებულიყო იმ ავტორიტარული რეჟიმებისგან, რომლებიც გვძულდა და, გასაგებია, რომ გვქონდა კიდეც კარგი მიზეზი საამისოდ. სასიამოვნო მოგონებები ეძღვნება იმ არაჩვეულებრივ კოლეგებსაც, რომლებთან ერთად გვიწევდა მუშაობა, მათ შორის იყვნენ აბრაჰამ ლოვენთალი, ბევრის აზრით - პროექტის მთავარი წარმმართველი ძალა - და ჩვენი თანაგამომცემელი ლორენს უაიტჰედი. "პატარა მწვანე წიგნის" წერა ფილიპთან ერთად იყო არაჩვეულებრივი გამოცდილება და მე მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ვიმსჯელო ზოგიერთ იმ საკითხზე, რომელთა შესახებ ჩვენს წიგნში ვსაუბრობდით და რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა.

როგორც ფილიპმა აღნიშნა, მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ტრანზიციის შესახებ წიგნზე ერთობლივი მუშაობის შემდეგ ჩვენ გარკვეულწილად განსხვავებული მიმართულებით დავიწყეთ აზროვნება. მე რაც შემეხება, უხალისოდ, მაგრამ მაინც მომიწია "ტრანზიციოლოგის" მახინჯი იარლიყის მიღება, რომელსაც მას მიაკერებდნენ ხოლმე, ვინც ამ სფეროში მუშაობდა. მაგრამ არასოდეს გავმხდარვარ "კონსოლიდოლოგისტი". მიზეზი ის იყო, რომ მალევე გამოვთქვი ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება "დემოკრატიის კონსოლიდაციის" თავად ცნების მიმართ, ვინაიდან მე ვგრძნობდი, რომ ის აღვიძებდა სტატიკურ, თეოლიგიურ და, ზოგიერთ შემთხვევაში, ეთნოცენტრისტულ იდეებს. და უფრო მეტიც: თანაავტორობის შემდგომ პერიოდში ჩვენ უმეტესწილად პლანეტის სხვადასხვა მხარეს მივმართეთ ჩვენი ყურადღება: მე ჩემი დროის უმეტეს ნაწილს ლათინური ამერიკის შესახებ ფიქრსა და წერაში ვატარებდი, მაშინ, როდესაც ფილიპი, უფრო მეტ ეკუმენიზმს იჩენდა და ჩრდილოეთ ნახევარსეფეროთი იყო დაკავებული, მერე კი თანდათანობით მსოფლიოს უმეტეს ნაწილსაც გადასწვდა.

ფილიპის ესე წარმოადგენს შესანიშნავ მიმოხილვას იმისა, რაც ჩვენ გვასწავლა დემოკრატიზაციის რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებამ. რა თქმა უნდა, რამდენიმე მის მოსაზრებას აუცილებლად გამოუჩნდება მოწინააღმდეგეები; მე აქ შევჩერდები მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე, რომელთაც აშკარად არ ვეთანხმები და საჭიროდ ვთვლი ამაზე აზრის გამოთქმას.

ფილიპი ამტკიცებს, რომ ერთობლივად დაწერილ ჩვენს ნაშრომში "ჩვენ შეზღუდული მნიშვნელობა მივანიჭეთ მასების მობილიზაციას ქვემოდან". ეს მართლაც სადისკუსიო საკითხი იყო ჩვენ შორის. შევთანხმდით, რომ არამარტო გვეხსენებინა, არამედ ხაზგასმით აღგვენიშნა ის გადამწყვეტი როლი, რასაც "სახალხო გამოსვლები" და "სამოქალაქო საზოგადოების გამოღვიძება" (ცნებები, რომლებსაც მივმართე საინფორმაციო წერილში, უილსონის ცენტრის პროექტისთვის რომ დავწერე) თამაშობდნენ იმ პროცესში, როცა საჭირო იყო დემოკრატიზაციის გატარება იმის იქეთ, სადაც ლიბერალიზაცია მთავრდება და სადაც, როგორც წესი, ესწრაფოდნენ გაჩერებას რეჟიმის რბილი ხაზის გამტარებლები და ოპორტუნისტი ოპოზიციონერები. ის, რომ შემდგომში ამგვარი მობილიზაცია შესუსტების ტენდენციას ამჟღავნებდა ხოლმე, სულაც არ გამორიცხავს მთავარ - და ხშირ შემთხვევაში - შეუცვლელ როლს, რომლებსაც ისინი თამაშობდნენ ტრანზიციის განხორციელების საქმეში.

ფილიპი წერს: "დადასტურდა, რომ დემოკრატიზაციის განხორციელება გაცილებით უფრო ადვილი მისაღწევია თანამედროვე ისტორიულ კონტექსტში, ვიდრე ეს თავდაპირველად წარმომედგინა". ჩემი აზრით, ეს დებულება კომენტარს მოითხოვს. დიახ, ეს მართლაც უფრო იოლი პროცესი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა იმ შემთხვევებში, რომლებიც მხედველობაში გვქონდა, როცა ჩვენს პროექტზე მუშაობას ვიწყებდით, ანუ - სამხრეთი ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ასევე შედარებით იოლი აღმოჩნდა ის ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, ვიდრე იმ დროს შეიძლებოდა გვევარაუდა. მაგრამ შედარებითი იოლი არ იყო მათთვის, ვინც იბრძოდა დემოკრატიის დასამკვიდრებლად იმ ბრძოლაში, რომელიც იმ დროს უთანასწორო ჩანდა, ხშირად დიდ პიროვნულ მსხვერპლს მოითხოვდა და გაგრძელდა მანამ, სანამ რეალობად გადაიქცეოდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს, არის შენიშვნა, რომელიც მიუთითებს უკიდურეს სიძნელეებზე, რომლებსაც დემოკრატიზაცია გადააწყდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრებთან, ისევე, როგორც აფრიკისა და სამხრეთ აზიის მრავალ ქვეყანაში. ამ რეგიონებში ბევრი ქვეყანა იმართება ოდნავ ლიბერალიზებული რეჟიმების მიერ, რომლებიც გამოეწყობიან დემოკრატიის მითვისებულ სამოსელში და ცინიკურ მასკარადულ თამაშებს თამაშობენ, აწყობენ რა არჩევნებს, რომლებსაც ძალიან ცოტა აქვთ საერთო ღია, თავისუფალ და პატიოსან შეჯიბრთან. იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ ფილიპის იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ის შემდგომში გვთავაზობს, ამ ქვეყნებიდან რამდენიმეში დაიწყო გამოცხადებული დემოკ-

რატიზაციის პროცესები, თუმცა კი შედეგი მცირე მივიღეთ. იმ შემთხვევათა შორის, როცა დემოკრატიზაცია სულაც არ იყო "მოსალოდნელზე ადვილი", გათვალისწინებული უნდა იქნეს ე.წ. "ჰიბრიდული რეჟიმები", რომლებიც ტერი რ. კარლმა აღწერა თავის გზის გამკვლევ სტატიაში რამდენიმე ათწლეულის წინ. უფრო ახლო წარსულში ამგვარმა შემთხვევებმა წარმოშო საინტერესო ლიტერატურა "ელექტორალური ავტორიტარიზმის" შესახებ - ამგვარი სახელმწიფო წყობების (ჭეშმარიტად ზრდადი) რიცხვისა და მნიშვნელობის მაჩვენებელი. ამასთანავე, ამ ქვეყნებთან დაკავშირებით, **ფელდმ ჰოუსე**-ს ანგარიშების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ საერთო ტენდენციას წარმოადგენს სვლა არა დემოკრატიზაციისკენ, არამედ – უფრო გამკაცრებული ავტორიტარიზმისკენ. დემოკრატიზაცია შეიძლება შედარებით ადვილი იყო კიდეც რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ ეს ნამდვილად არ ყოფილა ასე ბევრ სხვაში.

კიდევ სხვა შემთხვევაში ფილიპი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახალი დემოკრატიები მოქალაქეთა იმედგაცრუების მწვავე პრობლემებს შეეჯახა. მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ანალიტიკოსები ერთმანეთს ეცილებიან ყველაზე უფრო დამაკნინებელი ზედსართავი სახელის მოძიებაში", რომელსაც იმის წინ დააყენებდნენ, რასაც თვითონ ფილიპი „ნეოდემოკრატიას" ეძახის (არის თუ არა ნეო- ასევე დამაკნინებელი ზედსართავი სახელი?) და ამ ჩამოთვლაში ასახელებს ჩემს ცნებას „დელეგირებულ დემოკრატიას'. რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ჩემი სახელით შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ შესაძლებელია მთლად ასე თავისუფლად არ დავუშვათ, რომ ამ ტერმინთაგან რამდენიმე მაინც დაკნინებას კი არ გულისხმობს, არამედ დემოკრატიის ქვესახეობების კლასიფიკაციას, იმ ქვესახეობებისა, რომლებიც რეალურად არსებობენ ამჟამად. ამ კონტექსტში ფილიპი მართებულად შენიშნავს, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა დაადასტურა „დაბალი ხარისხის დემოკრატიების" არსებობა, მაგრამ იმწუთასვე გამოთქვამს არალოგიკურ დასკვნას, თითქოს აქედან გამომდინარე მიჩნეულია, რომ „ეს არ ღირდა იმ ბრძოლად და მსხვერპლად, რის ფასადაც მოხდა მათი დამკვიდრება". ეს არის მეტად უსამართლო გამონათქვამი გამოყენებული იმათი მისამართით, რომლებიც ვცდილობთ შევქმნათ კონსტრუქციული დემოკრატიული კრიტიკა ამ მართლაც „დაბალი ხარისხის დემოკრატიების" მიმართ. განა ეს არ არის ღირსეული ამოცანა იმათთვის, ვინც პატივს სცემს „ბრძოლასა და მსხვერპლის გაღებას" ან სულაც უშუალოდ გამოსცადა ეს? განა უმჯობესი იქნება დავასკვნათ, რომ ყველა დემოკრატია ამჟღავნებს „მსგავსი ავადმყოფობის სიმპტომებს" და დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის?

ანტიოქე

თანამედროვე დემოკრატიებს შორის განსხვავებების მნიშვნელობის (თუ არა არსებობის) უარყოფის იმავე ტალღაზე, ფილიპი აღიარებს აუტოპე-ს, ანუ თვითგადატრიალების შესაძლებლობას, როგორც „სავარაუდო საფრთხეს“, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ “ამგვარმა გამბიტებმა მცირე ხანში მარცხი განიცადა”. მართალია ის, რომ ოფიციალური, ღია დღეს იშვიათად ხდება, მაგრამ კიდევ ერთი სადავო მტკიცებულებით ფილიპი უბრალოდ განზე ტოვებს აშკარა და მნიშვნელოვან პრობლემას: არგენტინაში, კოლუმბიაში, ნიკარაგუაში, ეკვადორსა და ვენესუელაში (მხოლოდ თვალში საცემ მაგალითებს თუ მოვიხმობთ) პრეზიდენტები მართავენ საგანგებო დეკრეტების, გაზრდილი უფლებამოსილების მიღებით და მსგავსი მეთოდებით, რითაც ეს ხელისუფლები არღვევენ კონსტიტუციით განსაზღვრული სხვა ინსტიტუციების კომპეტენციასა და აფერხებენ მათ ნორმალურ ფუნქციონირებას. ესენი დემოკრატიებს წარმოადგენენ, მაგრამ დელეგირებული (ან რა სახელიც არ უნდა დაერქვას) ტიპისას; ანუ, ასეთი დემოკრატიები მნიშვნელოვანი ასპექტებით განსხვავდებიან თავიანთი უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული მეზობლებისგან, როგორიცაა ჩილე, კოსტა რიკა და ურუგვაი, ამ ბოლო დროს კი – ბრაზილიაც.

უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, თუ ჩვენ თავი მივუძღვენით თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებულ კომპარატივისტულ მეცნიერებას, რომელიც დემოკრატიასა და დემოკრატიზაციას შეისწავლის, საუკეთესო სტრატეგიად არ მესახება იგნორირება ან უარყოფა იმ საინტერესო ვარიაციებისა, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში არსებობენ. დემოკრატიების სხვადასხვა ქვესახეობების გამოვლენა (და თითოეულისთვის რაიმე სახელის დარქმევა) წინასწარი, მაგრამ სასარგებლო ნაბიჯია ამ მიმართულებით.

ბოლოს მინდა აქ მოვიტანო ფილიპის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „რეალურად არსებული დემოკრატია შეიძლება განსაკუთრებულად იმედგაცრუების მომტანი აღმოჩნდეს იქ, სადაც ის ახლად დამკვიდრებულია, მაგრამ არ ჩანს, რომ ეს უარყოფითი დამოკიდებულება რაიმე საფრთხეს უქმნიდეს მას“. მე გულით ვიმედოვნებ, რომ ის მართალია, მაგრამ ალბათ შეიძლებოდა დაგვემატებინა „ამ დრომედე“. სანამ იმას განვაცხადებდეთ, თითქოს არ ჩანდეს იმის ნიშნები, რომ ფართომასშტაბიანი უკმაყოფილება დემოკრატიას ემუქრებოდეს, ჯობს დავრწმუნდეთ, დროზე ადრე ხომ ამ არ წარმოვთქვამთ ამ დამაიმედებელ სიტყვებს.

ფილიპს და მე ბევრ საკითხზე თანმხვედრი აზრი გვაქვს, მაგრამ ზოგ რამეზე ვერ ვთანხმდებით; როგორც ჩანს, დღეს უფრო გამოკვეთი-

ლად ვერ ვთანხმდებით, ვიდრე მაშინ, როცა ჩვენ საერთო წიგნს ვწერ-
დით.

ჰგგ://წ წ წ.ფცებოლუ.�solidarity/groups/ odnesp
სჰმ იფრ-ოტ-ოპეკტვა-რმ ლენმ ე-განსკჰვავებულ-ჰენძჰვნა/102196629843563